MES 2 22 0000413889

21/04/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 7 აპრილს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. კახა შენგელია - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
4. დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. გაგა გვენეტაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
7. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
12. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
13. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნიკოლოზ ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**თორნიკე ბაქაქური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	**ლაშა მაჭარაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
6	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
7	**ნინო ალავიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
8	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
10	**თამთა ანთიძე**	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
11	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
12	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
13	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
14	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
15	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **თბილისის თავისუფალი აკადემია**

1. სალომე პირველი - რექტორი;
2. პაატა სალია - რექტორის მრჩეველი;
3. მარინე კობალავა - ვიცე-რექტორი სასწავლო დარგში;
4. ანჟელა აბულაძე - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. დავით შოშიტაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
6. მაია ვასაძე - ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე;
7. მურმან ციქუბაძე - ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი;
8. გიორგი იაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი;
9. მიხეილ მაჩიტიძე - რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი;
10. სოფო ალფაიძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
11. ეკატერინე ჩინჩალაძე - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
12. მარიამ რამინაშვილი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
13. გოგიტა თოდრაძე - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) აღმასრულებელი დირექტორი;
14. ლიკა ძებისაური - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
15. არჩილ ილურიძე - სტუდენტური ბაზის „ინი ჯგუფის“ წარმომადგენელი;
16. ნოდარ ბაგაური - კურსდამთავრებული.

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

1. მურთაზ დევიძე - რექტორი;
2. ირაკლი კაცაძე - რექტორის პირველი მოადგილე;
3. მანუჩარ ლორია - რექტორის მოადგილე;
4. ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):
მაია შიშნიაშვილი
ინგა დიაკონიძე
გიგა ხოსიტაშვილი
დავით ცირამუა
ია მოსაშვილი
ციცინო თურქაძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· **არა**
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია შიშნიაშვილმა, განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ჩატარდა 2021 წლის 9-10 დეკემბერს, ვიზიტამდე ცენტრის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გაუგზავნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებსაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო, ჩაატარეს ვიზიტის წინამოსამზადებელი შეხვედრა და შეხვედრის ფარგლებში მოამზადეს დამატებითი დოკუმენტების სია, რომლებიც ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან უნდა გამოეთხოვათ. მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წელს დაწესებულებაში განხორციელებული იყო სხვა ვიზიტიც, რომლის დასკვნაშიც გაცემული იყო 45 რეკომენდაცია, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2019 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და 45 რეკომენდაციას, მათი მოვალეობა იყო შეემოწმებინათ შეასრულა თუ არა დაწესებულებამ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და გამოეთქვათ მათი მოსაზრება, ასევე, მათ შვიდივე სტანდარტის მიხედვით უნდა შეეფასებინათ უნივერსიტეტის მდგომარეობა. ვიზიტის პირველი დღე (9 დეკემბერი) დაეთმო ინტერვიუებს, მეორე დღეს (10 დეკემბერს) ჩატარდა ადგილზე ვიზიტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა დასკვნის პროექტი, გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და მოამზადეს საბოლოო დასკვნა.

ახალ დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფმა ყველა რეკომენდაციის შესახებ გამოხატა მოსაზრება, ზოგ შემთხვევაში რეკომენდაციები შესრულებული იყო, ზოგ შემთხვევაში ნაწილობრივ, ზოგიერთ მათგანში კი არ იყო შესრულებული. მათ ასევე დააფიქსირეს ზოგიერთი რეკომენდაცია, შესაბამისად საბოლოო დასკვნაში წარდგენილია 54 რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრებს წაკითხული ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და უმჯობესი იქნებოდა საკვანძო საკითხებზე ესაუბრათ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ არ სურდათ ბუნდოვანი დაეტოვებინათ გარკვეული საკითხები და მოეყვანათ მაგალითები თუ რა მიზეზით იყო გაცემული ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები, მისი მოსაზრებით, წინა დასკვნიდან აღნიშნულ ვიზიტამდე ძალიან ცოტა დრო იყო გასული და ბევრი საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, რაც ბუნებრივი იყო, დაწესებულებამ ვერ მოასწრო ყველა რეკომენდაციის სრულყოფილად გათვალისწინება, თუმცა ზოგიერთი რეკომენდაცია შესრულებულია, რაც აღნიშნულია დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 1.2, 6.1 და 6.2 კომპონენტის შესახებ ინფორმაციით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი შედგებოდა ორი ნაწილისგან, პირველი მათგანი ეხებოდა მისიას, რომლის შესახებ არსებული რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ, თუმცა ახალი მისია არ იყო სრულიად გააზრებული დაწესებულების თანამშრომლების მიერ, საუბარი იყო ამ საკითხზე და არა რეკომენდაციის შეუსრულებლობაზე. მეორე ნაწილში საუბარი იყო სტრატეგიულ დაგეგმარებაზე, სადაც წინა ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც არ იყო შესრულებული, ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ყოფილიყო გაზომვადი, გაწერილი ყოფილიყო რესურსები, თუ რა ადამიანური/მატერიალური რესურსები იყო საჭირო სამოქმედო გეგმის შესასრულებლად, აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტაციის თანახმად არ იყო გათვალისწინებული, ანუ არ იყო გაზომვადი. გარდა ამისა ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სამოქმედო გეგმა 2020 წლის ჩათვლით, მისი მოსაზრებით სასურველი იყო წარმოდგენილი ყოფილიყო შემდეგი წლებისაც, რადგან ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის ბოლოს, სამოქმედო გეგმა კი იყო 2020 წლის, შესაბამისად 2021 წელს დაწესებულებამ იმუშავა სამოქმედო გეგმის გარეშე, სწორედ ამ საკითხზე იყო შემუშავებული რეკომენდაცია, რომ სამოქმედო გეგმა უნდა ყოფილიყო დოკუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია და უნდა ეარსება აღნიშნულ დოკუმენტს 2021, 2022, 2023 წლებში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ინფორმაციით კომპონენტ 6.2, 7.3 და 7.4-ის შესახებ.

ექსპერტმა, ინგა დიაკონიძემ, 6.2 კომპონენტის შესახებ განაცხადა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია - რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალი კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის ფინანსური რესურსით - წინა მონიტორინგთან შედარებით დაწესებულებამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით, ის ღონისძიებები, რომლებზეც მათ ისაუბრეს სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე ვერ ჩაითვალა საკმარისად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი დრო არ ჰქონდათ საამისოდ ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა კონკრეტულად რა გაკეთდა ამ მიმართულებით, შედგა პერსონალის მხარდაჭერის გეგმა, აკადემიური/აფილირებული პერსონალის მხარდაჭერის გეგმა, შეფასების კრიტერიუმები და ა.შ., მაგრამ, როდესაც ინტერვიუს დროს გაესაუბრნენ, პროფესორებს, მათ აღნიშნეს, რომ არცერთ მათგანს არ უსარგებლია უნივერსიტეტისაგან ფინანსური მხარდაჭერით, როდესაც აქვეყნებდნენ კვლევებს/პუბლიკაციებს, სწორედ ამ მიმართულებით გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია, ასევე, ბუნდოვანი იყო კვლევებზე გამოყოფილი ფინანსები ბიუჯეტში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო სრული

ინფორმაცია. მან დასძინა, რომ ძალაში დარჩა ბოლო გარე შეფასების რეკომენდაცია კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის ადეკვატური ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ.

ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა, 7.3 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გაიცა ორი რეკომენდაცია:
●რეკომენდირებულია, ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების გამოყენება - რის შესახებაც დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ლიცენზირებული პროგრამებით სარგებლობა არ იყო აუცილებელი მათთვის და შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია არ იყო შესრულებული;
● რეკომენდირებულია, საგამოცდო პროცესის წარმართვისას უსდ-მ გამოიყენოს ისეთი სისტემები, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას და მინიმუმამდე შეამცირებს გადაცდომის რისკებს - საუბარი იყო იმაზე, რომ თუნდაც ტესტების გაკეთების დროს გამოყენებულიყო ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა შეკითხვების ბანკის, ვარიანტის შერჩევას გამოტანასა და ა.შ., რაც იყო უფასო, არანაირ ფინანსურ ძალისხმევას არ საჭიროებდა და შესაბამისად მიაჩნდათ, რომ მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაციის შესრულება.

სტანდარტის აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, დავით ცირამუამ, 7.4 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა შეენარჩუნებინა წინა ვიზიტისას გაცემული ყველა რეკომენდაცია, მცირე მოდიფიკაციით, რათა უფრო მკაფიო ყოფილიყო მათი პოზიცია და არგუმენტაცია მათ, შორის რეკომენდაციებშიც, გარდა ამისა, იმსჯელეს და დაამატეს რამდენიმე რეკომენდაცია, მათი მოსაზრებით ფინანსირების პოლიტიკა საკმაოდ სუსტად არის უნივერსიტეტში წარმოდგენილი, რაც გამოჩნდა სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში, ბიზნეს უწყვეტობის გეგმაშიც და ექსპერტები თვლიდნენ, რომ დაწესებულებას სჭირდებოდა უფრო კონკრეტული ფინანსირებისა და ბიუჯეტირების პოლიტიკა, გარდა ამისა წინა ვიზიტის დროს გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ ყოფილიყო შემოსავლების დივერსიფიცირების რეალისტური გეგმა, რასაც ახალი გეგმა ვერ პასუხობდა, ინტერვიუებზე გამოიკვეთა საკითხი, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ვერ ასახელებდნენ ვინ რომელ კომპონენტზე იყო პასუხისმგებელი ფინანსური წახალისებისას სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების ნაწილში და ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული უკავშირდებოდა ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური მექანიზმების არქონას დაწესებულებაში, მათ დაწესებულებას სთხოვეს წარმოედგინათ ფინანსური პროგნოზირების გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო, მაგრამ არ ჩანდა ზრდა იმ ნაწილის, რაც დაგეგმილი იყო სტრატეგიაში, პროგრამების დამატება, სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, თუმცა შემოსავლების ზრდა/დივერსიფიცირება ფინანსურ პროგნოზში არ ჩანდა, ამიტომ ჩათვალეს, რომ პროგნოზირების მეთოდოლოგია დაწესებულებას სუსტად ჰქონდა წარდგენილი, ბიუჯეტში ადეკვატური ფინანსური რესურსი კონკრეტულ მუხლებში არ იყო წარმოდგენილი, კერძოდ, აკადემიური პერსონალის განვითარება, სტუდენტების მხარდაჭერა და მოცულობაზეც იყო კითხვის ნიშნები, დაწესებულებამ კი ვერ შეძლო დაესაბუთებინა კონკრეტული თანხების საკმარისობა ან ის ფორმულა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული თანხები იქნებოდა საკმარისი. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ფინანსური ანგარიშგების ან კვალიფიციური აუდიტის ანგარიში, რომელიც დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი და მიაჩნდათ, რომ არ იყო მათი ვალდებულება ამ ტიპის დოკუმენტის წარმოება, თუმცა ავტორიზაციის სტანდარტი ითხოვს დაწესებულებისგან, საგადასახადო კოდექსის მიღმა. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა საშტატო განრიგს, ექსპერტთა ჯგუფს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია დაწესებულების მიერ

დასაქმებული კადრების კომპეტენტურობა ან სამუშაო ექსპერტიზა, თუმცა მათ მიიჩნიეს, რომ საშტატო განრიგი, ანუ ერთი ადამიანი არ არის საკმარისი ფინანსური-მატერიალური და ბუღალტრული აღრიცხვის საწარმოებლად, შესაბამისად მათი მოსაზრებით შესაძლებელია აღნიშნულმაც იქონიოს გავლენა ეფექტურობაზე, საბოლოო ჯამში, რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე კომპონენტი შეფასდა. როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ მეხუთე სტანდარტის შესახებ, რომელიც შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“.

ექსპერტმა, დავით ცირამუამ, მეხუთე სტანდარტის შესახებ განაცხადა, რომ წინა ვიზიტისას ამ რაოდენობის რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული, თუმცა მოქმედმა ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებთან ინტერვიუების შემდეგ გასცა რეკომენდაციები, რადგან მნიშვნელოვანი საკითხები გაჟღერდა, როგორც სტუდენტების მხრიდან, ასევე დოკუმენტების ანალიზიდანაც, ფაქტობრივად სტუდენტებმა დაადასტურეს, პირველ რიგში ეს ეხებოდა მობილობის საკითხს, სადაც გამოიკვეთა პრაქტიკა, რომელიც დასკვნის ნარატიულ ნაწილში იყო განმარტებული, დაწესებულებიდან უკავშირდებოდნენ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს და მობილობით გადასვლის შემთხვევაში პირდებოდნენ, რომ სწავლას ერთ წელიწადში დაასრულებინებდნენ. ამგვარი პრაქტიკის არსებობა დადასტურდა ინტერვიუებზეც, ასევე, გაჟღერდა საკმაოდ მძიმე ბრალდებები, სტუდენტების ნაწილმა თქვა, რომ მათ წინასწარ აძლევდნენ საგამოცდო ტესტებსა და პასუხებს, კურსდამთავრებულები მიუთითებდნენ უწევდათ ისეთი ხარჯის გაღება, რომლის შესახებაც არ ჰქონდათ ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ენახა სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი, რომელშიც ვალდებულებაში ეწერა, რომ შესაძლებელია დაწესებულებას მოეთხოვა 300 ლარი დიპლომის სანაცვლოდ, თუმცა სტუდენტები ამის შესახებ ინფორმირებულნი არ იყვნენ, უნივერსიტეტის სტანდარტი კი ითხოვს, რომ სტუდენტი ინფორმირებული იყოს ჯეროვნად, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულებამ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გააუმჯობესოს. საუბარი იყო სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმის ზედაპირულობაზე, ის არ აღწერდა, მაგ., გასაჩივრების წესებს ან პროცედურებს, აღნიშნული მიმართულება არ იყო წარმოდგენილი არც სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო ინტერვიუებისას ამ მიმართულებით არაფორმალური წესის თანმიმდევრული დაცვის პრაქტიკაც არ გამოკვეთილა. 5.2 კომპონენტის შესახებ, მან განაცხადა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით უნივერსიტეტს არ ჰქონდა პრობლემა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აქაც ხარვეზი იყო, რადგან სტუდენტებს უჭირდათ დასახელება თუ რა შემთხვევაში ვისთვის უნდა მიემართათ, ბიბლიოთეკარი უფრო მეტად იყო ჩართული გამოცდების ორგანიზების ნაწილში, ვიდრე სხვა, მაგ., ფაკულტეტი. კონსულტაციებსაც ბიბლიოთეკარი უწევდა სტუდენტებს და საკონტაქტო პიროვნებად ძირითადად მას ასახელებდნენ. ექსპერტთა ჯგუფს აქცენტი ჰქონდა კარიერულ მხარდაჭერაზეც, რადგან დაწესებულებამ წარადგინა ანგარიში, რომელშიც მითითებული იყო ღონისძიებები, თუმცა ეს არ იყო მხარდამჭერი ღონისძიებები, საუბარი იყო კონკრეტული ვაკანტური პოზიციების დასაქმებაზე, ექსპერტების გადაანგარიშებით განვითარებაზე ორიენტირებული მხოლოდ 4 შეხვედრა ჩატარდა წელიწადში, რაც არ იყო საკმარისი აღნიშნული პროგრამებისთვის. ინტერნაციონალიზაციის პროცესისადმი ხედვა არათანმიმდევრული და ბუნდოვანი იყო, სტრატეგიული გეგმაც არ იყო თანმიმდევრული, არ ჩანდა სამიზნე ნიშნულები. ბიუჯეტი ძალიან მცირე იყო და დაწესებულებამ ისევ ვერ დაასაბუთა თუ რაზე დაყრდნობით ითვლიდა მას, პასუხი კითხვაზე, რომ თუ უფრო მეტი ფინანსები დასჭირდებათ რას მოიმოქმედებდნენ, იყო, რომ დამფუძნებლის მოგებიდან გადმოქონდათ თანხა, რაც ბუნდოვანია, თუ როგორ შეიძლებოდა მართვის პროცესში მოხერხებულიყო, და რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ გაწერილი. სტუდენტები არ იცნობდნენ აღნიშნულ პროცესებს, როგორ შეიძლებოდა

ინიციატივის წარდგენა და საერთოდ დამამთავრებელი ცერემონიალის დაფინანსება იყო სტუდენტური ინიციატივა, პოზიტიურად შეიძლება განიხილოს ის ფაქტი, რომ პანდემიის პერიოდში დაწესებულებამ მხარდაჭერა აღმოუჩინა სტუდენტებს, დაეხმარა ტექნიკით, ინტერნეტით და გაუკეთა ფინანსური შეღავათები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა, საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, რომ დაწესებულებას მისცემოდა საშუალება წარმოედგინათ მტკიცებულებები იმ გარემოებებზე, რომლებსაც წარმოადგენდნენ და მიეცათ ეკრანის გაზიარების საშუალება, რადგან თბილისის თავისუფალი აკადემია აღმოჩნდა მძიმე რეალობის წინაშე და ექსპერტთა ჯგუფმა ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე უარის თქმისა და გვერდის ავლის გარეშე გააკეთეს აღნიშნული დასკვნა. მან განაცხადა, რომ სურდა გაესაჯაროვებინა ძირითადი გადაცდომები, რომლებიც დასკვნაში იყო წარმოდგენილი, მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის გვ. 11-ზე აღნიშნული იყო რეკომენდაცია - რეკომენდირებულია, ყველა სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში - მისი განმარტებით, დაწესებულებაში ვიზიტი ხორციელდებოდა 2 დღის განმავლობაში, ჰიბრიდულ რეჟიმში, შესაბამისად 9 დეკემბერს მოხდა ინტერვიურება, 10 დეკემბერს კი ვიზუალური დათვალიერება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში ბევრჯერ არის დაფიქსირებული მათი გონივრული ვარაუდი, რომ ინსტიტუციას არ ჰქონდა სავალდებულო ლიტერატურა ადგილზე, შესაბამისად 10 დეკემბერს, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ დაწესებულებაში, უნდა მოეხდინათ ადგილზე სახელმძღვანელოების გადამოწმება, თუმცა, როდესაც დაწესებულებამ შუალედურ დასკვნაში აღნიშნული გარემოება ასახეს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ მათ ადგილზე არ მოუთხოვიათ კონკრეტული ლიტერატურა, დასკვნაში განმარტებული იყო, რომ „მას შემდეგ რაც სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ ხშირ შემთხვევაში დაწესებულება ვერ ახერხებდა მათი სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას ექსპერტთა ჯგუფმა დამოუკიდებლად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა რამდენიმე სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა და დაადგინა, რომ აღნიშნული არ იყო ხელმისაწვდომი ელექტრონულ კატალოგში, შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება ამ რეკომენდაციის გაწერის თაობაზე. წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა სასწავლო კურსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ კატალოგში და შენიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომი იყო. სავარაუდოთ, ინსტიტუციამ ვიზიტის განხორციელების შემდეგ იზრუნა ლიტერატურის ელექტრონულ კატალოგში ასახვაზე და ეს საკითხი გადაჭრა, რაც მისასალმებელია.“ მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაეკონკრეტებინათ სახელმძღვანელო, რომელიც ელექტრონულ კატალოგში არ იყო განთავსებული და მათი ვიზიტის შემდეგ დაემატა პლატფორმაზე, მან განმარტა, რომ ელექტრონულ კატალოგს ჰქონდა ფუნქცია, სადაც ჩანდა თუ როდის იყო ატვირთული სახელმძღვანელო, დაწესებულების წარმომადგენლებს სურდათ გაეზიარებინათ კომპიუტერის ეკრანი, რათა საბჭოსთვის ეჩვენებინათ, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ არცერთი სახელმძღვანელო არ იყო დამატებული, ასევე, დასძინა, რომ ელექტრონული კატალოგით არ ხდებოდა წიგნების გადამოწმება, მან აღნიშნა , რომ დაწესებულების 6 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2021 წელს და თუ ექსპერტები იქნებოდნენ, ობიექტურები, მიუკერძოებლები და კოლეგიალურები, ისინი ამას შეამოწმებდნენ და გონივრულ ვარაუდს განიმტკიცებდნენ ვიზიტისას.

3.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულება ხდებოდეს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილ ვადებში) შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო ჩანაწერი - „ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ არსებული პრაქტიკა არ შეცვლილა, კერძოდ, ყველა გამოკითხული სტუდენტი/კურსდამთავრებული სხვა დაწესებულებაში ჩაირიცხა 2006-2011 წლებში და თბილისის თავისუფალ აკადემიაში მობილობის შედეგად გააგრძელეს სწავლა“, აღნიშნული პროცესი დაკნინებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, თუმცა დაწესებულება მობილობის პერიოდში ხელმძღვანელობდა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, დაწესებულება მობილობის პროცესში აღნიშნულ ბრძანებას გვერდს ვერ აუვლიდა და საშუალებას იძლეოდა სტუდენტს სტატუსი შეეჩერებინა 5 წლის განმავლობაში და შემდეგ სტატუსი აღედგინა თავისი პირველი ჩაბარებიდან ეტაპობრივად, აქედან გამომდინარე დაწესებულებისთვის გაუგებარია თუ რა იგულისხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციაში.

კომპონენტი 3.1-ის აღწერით ნაწილში გაწერილია, რომ „2021 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად დაწესებულებაში არცერთი აბიტურიენტი არ ჩარიცხულა, ხოლო 2020 წელს ჩაირიცხა მხოლოდ 5. ცხადია, ეს დეტალები ცნობილია დაწესებულებისთვის, ექსპერტთა ჯგუფისთვის გაუგებარია, რატომ ცდილობს დაწესებულება შეცდომაში შეიყვანოს დაინტერესებული მხარეები“, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს გაეზიარებინა ფაილი, რომელიც დაწესებულებამ გამოითხოვა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, სადაც ნათლად იყო წარმოდგენილი რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა უნივერსიტეტში 2021 წელს.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, სოფო ალფაიძემ გააზიარა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გადაგზავნილი წერილი და მისი თანდართული ფაილი, რომელშიც ასახული იყო ჩარიცხვის თარიღები, სადაც ჩანდა, რომ 2021 წელს სტუდენტების გარკვეული რაოდენობა იყო ჩარიცხული.

დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა, განმარტა, რომ ეს იყო ძირითადი პრობლემები, რომლებზეც აგებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და შეფასებები. მან აღნიშნა, რომ შემდეგი ძირითადი გადაცდომა იყო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 9-10 დეკემბერს, რექტორმა ინტერვიურების ფარგლებში აღნიშნა, რომ 4 საგანმანათლებლო პროგრამას უკვე მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია, ხოლო „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და ქართულ ენაში მომზადების საგანანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას ცენტრის მხრიდან გადაგზავნილი ჰქონდა დადებითი დასკვნა პროგრამის შესაბამისობაზე და აკრედიტაციის პროცედურებიდან მხოლოდ საბჭოს ჩატარება იყო დარჩენილი, მან აღნიშნა, რომ საბჭო გაიმართა „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021 წლის 29 დეკემბერს, ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე - 2022 წლის 12 იანვარს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შუალედური დასკვნა წარმოადგინა 2022 წლის 21 იანვარს, საბოლოო დასკვნა პირველ მარტს, ექსპერტი, რომელიც ორიენტირებული იყო დაწესებულების განვითარებაზე, სურდა დაენახა თუ რა გზა გაიარა დაწესებულებამ 2019 წლის დეკემბრიდან, როდესაც ჰქონდათ რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განხორციელდა მონიტორინგი, აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფი შუალედური დასკვნის ეტაპზეც კი არ აღიარებდნენ, რომ დაწესებულებას გააჩნდა 6 პროგრამა, საბოლოო დასკვნაში ისევ წერდნენ, რომ „მოცემულ საანგარიშო პერიოდში, დაწესებულებამ მოახერხა მხოლოდ ერთი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტირება“, ასევე, ეწერა, რომ დაწესებულებამ ბოლო წარმოებისას მიიღო რეკომენდაცია, რომ ეზრუნა საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდაზე, რათა სტუდენტებს

მისცემოდათ შესაძლებლობა ესარგებლათ შიდა მობილობით და გაზრდილიყო დაწესებულების სიცოცხლისუნარიანობა“, გვ. 53-ზე კი დასკვნას თან სდევდა დანართი, რომელზეც წარდგენილი იყო 4 აკრედიტებული პროგრამა. ექსპერტი, რომელიც ორიენტირებული იყო დაწესებულების განვითარებაზე, უბრალოდ ვერ აღიარებდა, რომ დაწესებულებამ 6 საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღო აკრედიტაცია, სწორედ ამ საკითხშიც შეცდომაში შეყავდა ექსპერტთა ჯგუფს საზოგადოება, თუმცა მისი განმარტებით ექსპერტთა ჯგუფი საპირისპიროდ დაწესებულებას სდებდა ბრალს საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში.

5.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მკაფიო წესი და ამასთან, უზრუნველყოს რეალისტური შედარება პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით) შესახებ დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა განაცხადა, რომ დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის ცნობილია, რომ ინსტიტუცია მობილობის პროცესს ახორციელებდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად და თითქმის შეუძლებელი იყო მათ გარეშე აღნიშნული პროცესის განხორციელება, რადგან მობილობის კრედიტები, რომლებიც მოდიოდა ინსტიტუციაში ასაღიარებლად მიდიოდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და საბოლოო დასტურს სწორედ ისინი გასცემენ, აქედან გამომდინარე დაწესებულების რექტორისთვის გაურკვეველი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის, რადგან მათ მართლაც შეჰყავდა საზოგადოება შეცდომაში და ცდილობდნენ საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა მობილობისა და კრედიტების აღიარების წესი.

შემდეგი გადაცდომა უკავშირდებოდა ჩანაწერს დასკვნის გვ. 32-ზე - „წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე, უნივერსიტეტი ცდილობს მოიზიდოს კვალიფიციური კადრები, შესაბამისი სასწავლო კურსების განსახორციელებლად, თუმცა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აკრედიტირებულ პროგრამაში, კვლავ ვხდებით რეკომენდაციას, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში, აუცილებელია დარგში გამოცდილი აკადემიური პერსონალის მოწვევა (კონკრეტულად, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)“, რექტორმა განმარტა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე დაწესებულებამ 2021 წლის 17 მარტს მიიღო აკრედიტაცია ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით, ანუ ერთი წელი გადის 2022 წლის 17 მაისს და მისი მოსაზრებით არასწორი იყო მსჯელობაც, რადგან ექსპერტი ამბობდა, რომ რეკომენდაცია არ შეუსრულებია დაწესებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ერთ წლიანი ვადა ჯერ არ გასულა, თუმცა ამავე დასკვნაში გვ. 34-ზე წერია - „მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, კოლეჯმა პროგრამის განხორციელებისთვის მოიწვია პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ შესაბამის მიმართულების. აღნიშნული დასტურდება ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით, ასევე განათლების მომზადების პროგრამით“, მისი თქმით დაწესებულებას არ აქვს განათლების მომზადების პროგრამა და სავარაუდოდ ექსპერტთა ჯგუფმა იგულისხმა მასწავლებლის მომზადების პროგრამა.

შემდეგი გადაცდომა უკავშირდებოდა ფინანსურ ხარჯს ჩარჩო ხელშეკრულების ნაწილში, მას შემდეგ რაც დაწესებულებამ მიუთითა კონკრეტული მუხლი და პუნქტი თუ სად ეწერა, ამ ხარჯის გათვალისწინების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის პირველ გვერდზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა აღნიშნული და შევიდა ცვლილება კონკრეტულ რეკომენდაციაში, თუმცა რეკომენდაციების ცხრილიდან კონკრეტული რეკომენდაცია ამოღებული არ იყო და არც საბოლოოდ ამ კონკრეტულ გარემოებას არ ჰქონია გავლენა სტანდარტის შეფასებაზე. სალომე პირველმა განაცხადა, რომ დიდ ზიანს აყენებდა და ძალიან მნიშვნელოვანი ბრალდება იყო, რომ ერთ შემთხვევაში დაწესებულება სტუდენტებს

სწავლას ამთავრებინებდა ერთ წელში, მეორე შემთხვევაში, კი 2006 წელს ჩარიცხული სტუდენტები სწავლობენ, დაწესებულების წარმომადგენლობისთვის გაუგებარია მსჯელობა, თუ როგორ შეიძლებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების პირობებში დაებრალებინათ ინსტიტუციისთვის, რომ ერთ წელში დაამთავრებინონ სწავლა, რადგან ეს ჰიპოთეტურადაც შეუძლებელია, რომ 240 კრედიტი დაწესებულებამ უღიაროს სტუდენტს და გასცეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ასეთი გადაცდომებით არის სავსე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ინსტიტუციას შეზღუდული ჰქონდა სტუდენტთა მიღების უფლება, 2019 წელს, როდესაც განხორციელდა მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისობის ცხრილი გაწერა შემდეგნაირად: პრობლემა იყო მეორე, მესამე და მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით, თუმცა ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და თუ არ შეცვლიდა კონკრეტულ მოცემულობას დაწესებულებას ვერ მოეხსნებოდა სტუდენტთა მიღების შეზღუდვა, შესაბამისად სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამის ნაწილშიც, მეორე და მეექვსე სტანდარტებთან მიმართებით საბჭომ ჩათვალა, რომ დაწესებულება შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან დააკმაყოფილა დაწესებულების შუამდგომლობა და მოუხსნა სტუდენტთა მიღების შეზღუდვა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულდა, როგორც ცენტრმა დაწესებულებას განუმარტა, არ არსებობდა პრაქტიკა, რომლის თანახმადაც საბჭო გადაწყვეტდა რომელი რეკომენდაციები დატოვა ძალაში და რომელი გააუქმა, ცხრილში გაწერილი შეფასების გამოსწორება გამომდინარეობდა იქიდან, რომ საბჭომ დააკმაყოფილა დაწესებულების შუამდგომლობა სტუდენტთა მიღების შეზღუდვის მოხსნის შესახებ, ამ პირობებში „ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც 2021 წელს იქნა შეფასებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რა გახდა იმის მიზეზი, რომ 2 თვით ადრე აკრედიტებულ პროგრამას დაუწიეს სტანდარტი, საუბარი იყო პროგრამაზე, რომელიც შეფასდა დარგის ექსპერტების მიერ და შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, 2019 წლის ავტორიზაციის საბჭოზე, როდესაც ექსპერტებმა პროგრამის შესახებ დაიწყეს საუბარი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ უთხრა, რომ ეს იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს კომპეტენცია და არ იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს განსახილველი თემა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა უპასუხეს, რომ რადგან პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში, სწორედ აქედან გამომდინარე შევიდნენ ასეთ სიღრმისეულ კვლევაში, ბოლო ვიზიტზე კი ნამდვილად აღარ არსებობდა ამის საფუძველი, რადგან 2021 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ გასცა პასუხი ყველა კითხვას.

რექტორმა განაცხადა, რომ 2021 წლის განმავლობაში დაწესებულებამ შეძლო ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლა, დაწესებულების 6 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, საიდანაც ორი პროგრამა იყო საბაკალავრო საფეხურის, ხოლო ოთხი მათგანი 60 კრედიტიანი, 2019 წლის ექპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ექსპლუატაციაში მიღებულ შენობაში დაამონტაჟეს სამგზავრო ლიფტი, რომელიც გაწერილი იყო რეკომენდაციაში, სრულიად განახლდა და შეიცვალა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღიჭურვა იმ საჭირო რესურსებით, რომლებიც სჭირდებოდათ სტუდენტებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე - „რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტარტეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტარტეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება და უნიკალური კომპეტენციები კონკურენტებთან მიმართებაში, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას“, დაწესებულებამ განმარტა, რომ კონკურენტებთან მიმართებაში საჭირო ადგილი განსაზღვრული იყო, აკრედიტებულ პროგრამებზე მიიღეს 16 სტუდენტი, ეს კონკრეტული პროგრამები სხვა დაწესებულებებსაც ჰქონდათ და ნიშნავდა თუ არა ეს, რომ განსახილველმა ინსტიტუციამ კონკურენტებს შორის საკუთარი ადგილი გაიაზრა და აღნიშნული სტუდენტებით მიიღო გრძელვადიანი მდგრადობა. მას სურდა აღნიშნული საბჭოს სხდომა

ყოფილიყო სამართლიანობის აღდგენისათვის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტი, რომელიც ორიენტირებული იყო დაწესებულების განვითარებაზე, უნდა დაენახა დროის სიმცირე, 2020-2021 წელი იყო ძალიან რთული პერიოდი მსოფლიოსთვის კორონავირუსის პანდემიის გამო და სწორედ ამ რთულ პერიოდში დაწესებულებამ 6 პროგრამის აკრედიტაცია მოახერხა, მიიღო ახალი ადამიანური რესურსი, დასაქმებული იყო 120 ადამიანამდე, ექსპერტთა ჯგუფი კი წარდგენილი დასკვნით შეურაცხყოფას აყენებდა დაწესებულებას, რადგან თვლიდნენ, რომ 2019 წლის შემდეგ მხოლოდ უკუსვლით სვლა ფიქსირდებოდა, რადგან 2019 წლის დასკვნაც კი არ იყო ასეთი მძიმე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რათა ესაუბრათ დაწესებულების მხრიდან მოყვანილ გადაცდომებზე, ასევე, დაინტერესდა თუ რა გამოსწორდა მიღებული არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ და რა დარჩა ძალაში.

ექსპერტმა, დავით ცირამუამ, მობილობის წესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს სტუდენტთან კონკრეტულ პანელზე რამდენიმე კითხვით დაზუსტდა აღნიშნული მოცემულობა, საუბარი იყო ეკონომიკის მეოთხე კურსის სტუდენტზე, რომელიც გადმოვიდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე და სწავლა დაასრულა ერთ წელიწადში, შესაბამისად გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია, 2006 წელსა და სწავლის დასრულების მაჩვენებელს შორის კავშირზე, რომ თითქოს ორ სხვადასხვა გვერდზე სხვადასხვა ჩანაწერები იყო, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი კიდევ შეხვდა, იმსჯელეს იყო თუ არა აღნიშნული ჩანაწერები, რა თქმა უნდა, თუ კონტექსტიდან ამოგლეჯილად მხოლოდ წინადადებებზე ისაუბრებდნენ, შესაძლებელია არ იყოს ლოგიკური, თუმცა კონტექსტში კარგად ჩანდა რაზე იყო საუბარი, საუბარი იყო იმაზე, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უმეტესობა მათგანი იყო ისეთი, რომლებმაც 2010 წლამდე ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და შესაბამისად მათ შორის სწორედ ამიტომ იყო აქცენტი იმაზე, რომ უნივერსიტეტი ბიზნეს მოდელს სწორედ ამიტომ ავითარებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში და სწორედ ამიტომ ყავდა სტუდენტები, რომლებიც 2010 წლამდე აბარებდნენ, შემდეგ დიდი ხნით იჩერებდნენ სტატუსს, შემდეგ აღიდგინეს და როგორც სტუდენტებმა თქვეს „გამოცდების პასუხების წინასწარ გაზიარებით“ ასრულებდნენ სწავლას. რაც ეხებოდა 300 ლარის საკითხს, დაწესებულება მართალი იყო იმაში, რომ თავდაპირველ დასკვნის პროექტში არასწორად ეწერათ, რომ არსად არ იყო მითითებული 300 ლარის საკითხი, თუმცა დაწესებულების მითითების შემდეგ ნარატივში გამოჩნდა, რომ ეწერა გარდამავალ დებულებაში და სტუდენტთა უმრავლესობა ინფორმირებული არ იყო. რეკომენდაცია, კი უთითებდა იმას, რომ სასურველი იყო დაწესებულებამ უზრუნველყოს ჯეროვანი ინფორმირება, რათა სტუდენტს თავიდანვე ცოდნოდა თუ რა ხარჯების გაწევა მოუწევდა, ასევე, ბუნდოვანი იყო ჩანაწერი, როდესაც ეწერა, რომ დაწესებულება უფლებამოსილი იყო მოეთხოვა 300 ლარი, რის შემთხვევაში ესეც უნდა დაზუსტდეს.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საკმაოდ მწვავე ჩანაწერი ფიქსირდებოდა ლიტერატურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური კონსულტაციების გამოყენებასთან დაკავშირებით, არა დისტანციური სწავლების დროს პროექტორის არ ქონა აუდიტორიაში, რომ დისტანციური ფორმატის დროს, უნივერსიტეტის გარედან ბაზებთან წვდომა არ იყო ხელმისაწვდომი არც სტუდენტისთვის და არც ლექტორისთვის, მისთვის გასაგები, იყო, რომ აღნიშნული საკითხი დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, თუმცა დაინტერესდა ეს საკითხები აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს ფარგლებშიც დადასტურდა თუ არა. ელენე ჟურავლოვამ მიმართა

დაწესებულების წარმომადგენლებს, არსებობდა თუ არა მობილობის წესის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა რამდენ კრედიტიანი/რა მოცულობის საგანი უღიარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში EMIS-ს უგზავნიდნენ დასკვნებს, მაგრამ არსებობდა თუ არა მარეგულირებელი დოკუმენტი და სად შეიძლებოდა აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას მითითებული ჰქონდა რომ ჰყავდა 774 კურსდამთავრებული, აღნიშნული სიიდან 361 იყო ბაკალავრიატის კურსდამთავრებული და დანარჩენი კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია არ იყო გაწერილი, შესაბამისად დაინტერესდა თუ რით იყო განპირობებული აღნიშნული რიცხვი. მან გადახედა 2019 წლის დასკვნასაც, სადაც კოლეჯ „ჯორჯიას“ კურსდამთავრებული არ ჰყავდა, ანუ 774 იყო 2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებულები. ელენე ჟურავლოვამ მოუწოდა დაწესებულებას საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ, განაცხადა, რომ მას ჰქონდა კითხვები მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა ესაუბრათ სტუდენტების ხელშემწყობ მექანიზმებზე, ასევე ექსპერტთა ჯგუფისგან დაინტერესდა, თუ რატომ შეფასდა სტანდარტი ასე მძიმედ. ასევე, დაინტერესდა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევი დინამიკით. სურდა დაეზუსტებინა, თუ რამდენ სტუდენტს გაესაუბრა ექსპერტთა ჯგუფი. 3.1 კომპონენტი (საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება) და 3.3 კომპონენტი (სწავლის შედეგების შეფასება) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული შეფასება.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით დასკვნის მოცულობიდან გამომდინარე საკმაოდ რთული სამუშაო გატარდა, მისი კითხვები ძირითადად ეხებოდა კომპონენტებს, რომლებიც შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, 2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციების (რეკომენდირებულია, შემუშავდეს საუნივერსიტეტო აკადემიური სტილი, რომელიც შესაბამისობაში იქნება რომელიმე საერთაშორისო ნორმასთან. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ცოდნის ამაღლება შემუშავებულ სტანდარტებთან მიმართებაში; რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს კეთილსინდისიერების პრინციპების ფართო იმპლემენტაცია და გამორიცხოს საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობები;) შესახებ, მან განაცხადა, რომ საბჭო სტანდარტის შეფასებისას მსჯელობდა თუ რის მიხედვით შეფასდა, დაინტერესდა დაწესებულება აკმაყოფილებს თუ არა რაღაც დონეზე აღნიშნულ კომპონენტს, რადგან „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ფასდება, როდესაც ერთიდან სამ წლამდეა საჭირო რეკომენდაციის შესასრულებლად, შესაბამისად დაინტერესდა იქნებოდა თუ არა საკმარისი დრო 1-3 წელი აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად. ასევე, მეხუთე სტანდარტიც, შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, რადგან ორივე კომპონენტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, დაინტერესდა თუ რამდენად იყო რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე ის მდგომარეობა, რომელიც ფასდებოდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, რადგან ფაქტია დაწესებულებას ჰქონდა სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების და ა.შ. რეგულაციები, რეკომენდაცია კი, რომელიც გაცემულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რამდენად შეიძლება ითქვას, რომ საბაზო დონეზე მაინც ვერ აკმაყოფილებს დაწესებულება. 7.4 კომპონენტი, ასევე შეფასდა, როგორ „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, რომელთან დაკავშირებითაც დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რადგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც აღინიშნა, იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებელი გაიღებდა დამატებით ხარჯებს, მაგრამ, როდესაც საუბარი იყო კერძო დაწესებულებაზე, მისთვის ამ მოცემულობაში გაუგებარი არაფერი არ იყო, არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო უნივერსიტეტებშიც ასე ხდებოდა, ამიტომ დაინტერესდა თუ სად გადიოდა ზღვარი სრულ და ნაწილობრივ შესაბამისობას შორის, რაც გაწერილი იყო და

არ იქმნებოდა მიმდინარე პროცესში. ასევე, დაინტერესდა თუ როგორი იყო ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეფასება, როგორი შთაბეჭდილება დარჩათ წინა ვიზიტთან შედარებით იყო პროგრესი თუ რეგრესი.

საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ, განაცხადა, რომ დასკვნის ნარატიული ნაწილი ბევრად უფრო მკაცრი იყო, ვიდრე საბოლოო შეფასება, მაგ., 1.2 კომპონენტი, რომელიც ამოწმებდა სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმებს, ექსპერტთა ჯგუფს კი ეწერა, რომ არ არსებობდა აღნიშნული გეგმა, შესაბამისად იყო ძველი, 2020 წლის გეგმა, როგორც ნარატივში ეწერა ძველ გეგმაშიც არ იყო დაკონკრეტებული შეფასებები, მაგალითები, რომლებიც გაზომვადი იყო, მაგრამ კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რომელიც უფრო მძიმედ გამოიყურებოდა ნარატივში. ასევე, 2.2 კომპონენტი, რომელშიც საუბარი იყო, რომ გადასახედი იყო კვლევის მექანიზმები, შედეგების გამოყენების მაგალითები არ ჩანდა და ა.შ. არსებობდა მსგავსი მაგალითები, დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული, რომ დაწესებულებას უნდა შეესრულებინა 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც არ არსებობდა, შეფასებული კი იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, დაწესებულებას არ გაუკეთებია კომენტარი აღნიშნულთან დაკავშირებით, მუშაობდა თუ არა სამოქმედო გეგმის მიხედვით, ამიტომ დაინტერესდა დაწესებულების პოზიციითაც, მიყვებოდა თუ არა რეალურად გეგმას და თუ მიყვებოდა სად იყო გეგმა წარმოდგენილი, ასევე დაწესებულებას არ უსაუბრია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით, დაინტერესდა თუ როგორ ფუნქციონირებდა და ასევე სთხოვა წარმოედგინათ კონკრეტული მაგალითი.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ სურდა დაეზუსტებინა კონკრეტული საკითხები, რომლებიც ეხებოდა სტუდენტთა კანონიერ ინტერესებსა და მათ დაცვას, აღნიშნა, რომ ახსოვდა აღნიშნული ინსტიტუციის პროგრამების აკრედიტაციის პროცესი, მისი მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელება ქმნიდა ინსტიტუციურ მდგრადობას, თუ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას ის სტუდენტები, კურსდამთავრებულები თუ აკადემიური პერსონალი სხვა შედეგს დებდა, კითხვა ეხებოდა მეხუთე სტანდარტს, მას სურდა დაეზუსტებინა, რომ წინა ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში, რომელიც შემდეგ გახდა მონიტორინგის საფუძველი მეხუთე სტანდარტთან მიმართებით არაფერი ჩანდა გაკეთებული, ან რა რეკომენდაცია იყო გაცემული და რა ნაბიჯები გადაიდგა, მხოლოდ დამატებული იყო რეკომენდაციების გარკვეული რაოდენობა, კომპონენტი 5.2 ფასდებოდა 11 კრიტერიუმით, დაინტერესდა თუ რამდენად იყო 4 რეკომენდაცია საკმარისი იმისათვის, რომ კომპონენტი შეფასებულიყო, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მან შეისწავლა პროგრამები და ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა რეკომენდაციებში მოყვანილ სხვადასხვა გარემოებებს. სურდა დაზუსტება, რომ, როდესაც სტუდენტმა გააკეთა შიდა მობილობა და შეიცვალა პროფესია, დასკვნის თანახმად მან ერთ წელში დაასრულა სწავლა, დაინტერესდა თუ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა აღიარების დოკუმენტი, კრედიტების თავსებადობის ნაწილი, რომელი სემესტრიდან გადავიდა, რომელ სემესტრში ჩაირიცხა და ა.შ. ამ ნაწილში თუ ხდებოდა დაწესებულებიდან მტკიცებულებების გამოთხოვა და დადასტურება. მისი მოსაზრებით ძალიან მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი ნაწილი, როდესაც საუბარი იყო პროგრამებზე, რომლებზეც სტუდენტები უკვე ირიცხებოდნენ, მან სთხოვა დაწესებულებას განემარტათ თუ რა მექანიზმებით სარგებლობდნენ მათი კურსდამთავრებულები, სტუდენტები, როდესაც საუბარი იყო, რომ დაწესებულებაში უნდა გაჩენილიყო სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და მათი დაცვის აქტიური მექანიზმები, როგორ მოქმედებდა ის აღნიშნულ ეტაპზე, სად არიან დასაქმებულნი მათი სტუდენტები, როგორ უწყობენ ხელს მიმართულების განვითარებას.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ მიმართა კითხვით ექსპერტთა ჯგუფს რომელიც ეხებოდა მობილობის შემდეგ უნივერსიტეტის მცირე ვადაში დასრულებას, დაინტერესდა იყო თუ არა შემთხვევები, როდესაც დაირღვა ნორმა სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობასთან მიმართებით და თუ იქნა მსგავსი შემთხვევები დაფიქსირებულ მონიტორინგის დროს.

საბჭოს წევრმა, გია ლობჟანიძემ, კომპონენტი 1.2-ის შესახებ აღნიშნა, რომ ნარატიულ ნაწილში ეწერა, რომ შრომის ბაზარი კარგად იქნა შესწავლილი, აკმაყოფილებდა ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ მიწოდებულ სტანდარტებს და ა.შ. დაინტერესდა, ექსპერტები რომ ყოფილიყვნენ დაწესებულების ადგილას რას დაამატებდნენ და რა კუთხით შეისწავლიდნენ კონკურენტ დაწესებულებებს. ასევე დაინტერესდა თუ რატომ შეიმუშავა ექსპერტთა ჯგუფმა ლიტერატურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაუგებრობა იყო, რადგან თუ დაწესებულების 6 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია და მათ ჩათვალეს, რომ წიგნები საკმარისი და ხელმისაწვდომი იყო, რატომ დაიკარგა აღნიშნული წიგნები და აღარ არის ხელმისაწვდომი.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანჟელა აბულაძემ, განაცხადა, რომ უპრეცედენტო შემთხვევის შესახებ აღმოჩნდა დაწესებულება, რადგან მათ ვერ მოისმინეს თუ რამდენად ბევრი რამ გააკეთა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწესებულებამ, ვერცერთმა ექსპერტმა ამის დანახვა ვერ შეძლო. მან აღნიშნა, რომ თავად ექსპერტია და ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მისთვის ეთიკის კოდექსის დაცვა იყო. მან აღნიშნა, რომ არაკოლეგიალური დამოკიდებულება ჰქონდათ ექსპერტებს დაწესებულებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ, დასკვნა მთლიანად აგებული იყო სიცრუეზე, ურთიერთგამომრიცხავ ჩანაწერებსა და არა დაწესებულების განვითარებაზე. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა გაცემული რეკომენდაცია (რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს პერიოდულობით, წინასწარი განსაზღვრული სიხშირით, რათ პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზეც შესაძლებელი იყოს მათი მოსაზრებების გათვალისწინება), დაწესებულება არ დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან კურსდამთავრებულთა კვლევა, არა მხოლოდ აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში, არამედ 2008 წლიდან ხორციელდებოდა წინასწარ განსაზღვრული სიხშირით, ყოველწლიურად, რაც ასახულია ხარისხის მართვის მექანიზმსა და მათ შეფასებაში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გვ. 29-ზე წერია: „მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება პერიოდულად უწევს ადმინისტრირებას სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის და დამსაქმებლების კმაყოფილებისა და აზრის კვლევას“, 3.1 კომპონენტში კი გაცემული იყო რეკომენდაციის სახით კვლევის პერიოდულად ჩატარების შესახებ, რაც გამორიცხავდა ერთმანეთს. აკადემია ახორციელებდა, როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კვლევას, სტუდენტები/კურსდამთავრებულები გამოიკითხებოდნენ სპეციალური ანკეტა-კითხვარების საშულებით, გამოკითხვის შემდეგ ხდებოდა მიღებული შედეგების ანალიზი და ასახვა პროგრამასა, თუ სასწავლო პროცესში. აკადემია სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით ადგენდა თუ როგორი იყო სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დინამიკა წლების მიხედვით. დასკვნაში იყო ჩანაწერი: „კვლევისას გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, შეკითხვების უმრავლესობა იყო დახურული პასუხით, რაც ნაკლებად ქმნის შესაძლებლობას ინფორმაცია იყოს ამომწურავი“, რაც ისევ უზუსტობაა, რადგან კვლევისთვის გამოყენებულ იქნა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდი, როგორც დახურული, ისე ღია კითხვებიც, კურსდამთავრებულთათვის გამოყოფილ იქნა ღია ველი, რათა დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება, პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, იმ უნარ-ჩვევებზე, რომლებიც დასჭირდათ სამუშაო ადგილზე, და ბოლოს, დამატებითი ველი დამატებითი ჩანაწერების, შენიშვნებისათვისა და რეკომენდაციებისათვის, სწორედ კურსდამთავრებულთა

გამოკითხვის შედეგად განხორციელდა აკრედიტებულ პროგრამაში მთელი რიგი ცვლილებები, მაგ., შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები, გაძლიერდა ინგლისურის კომპონენტი, დაემატა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები, განახლდა ლიტერატურა და სხვა. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები შესახებ მას სურდა ესაუბრა იმ სტუდენტურ სერვისებზე, რომლებიც აკადემიაში არსებობდა, და სთხოვა ჩამოთვლის შემდეგ კიდევ დაესახელებინათ ისეთი სერვისი, რომელიც არსებობდა სხვაგან და არა მათთან, მატერიალურ-ტექნიკური სერვისით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობდა თანამედროვე და კომფორტულ სასწავლო სივრცეს; ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც მოიცავდა ძალიან ბევრ კომპონენტს, ეს არის შიდა გრანტი, სტიპენდია, მოქნილი სასწავლო გრაფიკი, ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი; მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერა - სოციალურად დაუცველი ჯგუფები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, იძულებით გადაადგილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირები და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილები და ოჯახის წევრები; პროფესიული და კარიერული მხარდაჭერა - სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ, შემეცნებით, სპორტულ, საქველმოქმედო საქმიანობას; აკადემიური მხარდაჭერა ეს იყო სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცედურები, სტუდენტთა ორიენტირება პროგრამაზე, ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტის ინფორმირება მისი ინტერესებიდან გამომდინარე რომელი სასწავლო კურსი უნდა აერჩია, ინფორმირება შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, კონსულტაცია ნაშრომის სტრუქტურაზე, პლაგიატზე, კეთილსინდისიერების პრინციპებზე, მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის მომსახურეობა, რომელიც უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წიგნადი თუ დიჯიტალიზებული ფონდის უზრუნველყოფას, მოსახერხებელი/თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები; პირადი სამედიცინო დახმარება; სტუდენტთა კაფეტერია; და სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა; მისი მოსაზრებით რაც შეეძლო დაწესებულებას, რომ ხელი შეეწყო სტუდენტებისთვის ყველაფერი ჰქონდათ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და სწავლის შედეგების შეფასებას, მისი თქმით, დაწესებულებაში არსებობდა გარე და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, გარე ეს იყო ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესი და გარე კოლეგიალური შეფასება, რომელსაც ახდენდნენ ნებისმიერი პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე და შიდა მექანიზმები მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამის და მექანიზმების სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებას აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო აქტივობის შეფასებას, სასწავლო რესურსებისა და სტუდენტური მხარდაჭერის შეფასებას, ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობას, ყველა აღნიშნული მექანიზმი არსებობდა და დანერგილი იყო აკადემიაში, არსებობდა უამრავი ტიპის გამოკითხვა, როგორც სემესტრული, ასევე ყოველწლიური. სწავლის შედეგების შეფასების შესახებ კი განაცხადა, რომ ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდა თავისი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ანუ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების გაზომვას ახდენდნენ პროგრამის დასრულების ეტაპზე, იქიდან გამომდინარე, რომ სწავლის შედეგების გაზომვას ვერ შეძლებდნენ მანამდე, პირველი ან მეორე აკადემიური წლის ბოლოს, რადგან ამ კონკრეტულ წლებს არ ჰქონდა ამოწურულ მთლიანი სასწავლო პროცესი და ვერ გაიზომებოდა სწავლის შედეგები. ასევე, სწავლის შედეგების აღწერა მიმდინარეობდა 3 კატეგორიის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, სწავლის შედეგები პასუხობდა კითხვას: „რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება

უნდა შეძლოს თითოეულმა სტუდენტმა კონკრეტული პროგრამის დასრულების ეტაპზე“, პროგრამის სწავლის შედეგები პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის მიზნებიდან, ამისთვის არსებობდა უამრავი რუკა, რომელიც კეთდებოდა თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროგრამის სწავლისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, სასწავლო კურსებისა და პროგრამის შესაბამისობის რუკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია შიშნიაშვილმა, 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კომპონენტის შეფასება გამომდინარეობს იქიდან, თუ რა ვადაში იყო შესაძლებელი აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება, ორგანიზაციაში არსებობდა სამოქმედო გეგმა, ასევე არსებობდა სტრატეგიული გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ იყო ძველი მათი განახლება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების მიხედვით შესაძლებელი იყო შედარებით მოკლე ვადაში, სწორედ ამიტომ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. კონკურენტების კვლევის შესახებ, მან განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია 2019 წლის დასკვნაში იყო, რომელიც ფორმულირებული იყო შემდეგნაირად - „დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტრატეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება და უნიკალური კომპეტენციები კონკურენტებთან მიმართებაში, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიან პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას“, აღნიშნული პრობლემა იყო მანამდე და, როდესაც აღნიშნულ რეკომენდაციას გაეცნენ, პირველ რიგში შეისწავლეს თვითშეფასების ანგარიში, სადაც დაწესებულებამ აღნიშნა, რომ იმსჯელა საკუთარ კონკურენტულ პოზიციაზე და გაითვალისწინა სტრატეგიული დაგეგმარების დროს, ასევე შეისწავლა შრომის ბაზარი და შეაფასა კონკურენტული მდგომარეობა, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტსა და შრომის ბაზრის კვლევას, სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტში ცალკე კონკურენტების კვლევა არ იყო, საუბარი იყო მხოლოდ SWOT ანალიზზე, სადაც შესაძლოა ყოფილიყო კონკურენტების შესახებ ინფორმაცია, რა იგულისხმებოდა, როდესაც საუბარი იყო სტრატეგიულ აუდიტსა და კონკურენტების შესწავლაზე, კონკურენტების შესწავლა ნიშნავდა კონკურენტების ჩამონათვალის გაკეთებას, კონკურენტების პროფილების მომზადებას, მათი ძლიერი/სუსტი მხარეების აღწერას, საკუთარი ძლიერი/სუსტი მხარეების აღწერასა და შედარებას, იმის დასადგენად სად ჰქონდა კონკურენტული უპირატესობა და სად არა, სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტში ცალკე არ იყო აღწერილი კონკურენტები, რომ მიმხვდარიყვნენ პროგრამების მიხედვით, მაგ., ბიზნესის ადმინისტრირების შემთხვევაში ვის მოიაზრებს დაწესებულება კონკურენტად, რა ძლიერი/სუსტი მხარეები აქვთ, გარდა ამ დოკუმენტისა გაეცნენ შრომის ბაზრის კვლევას, სადაც ჰქონდა მოლოდინი, რომ რადგან თვითშეფასების ანგარიშში იყო ნახსენები, რომ შრომის ბაზრის კვლევის დროს შეისწავლეს კონკურენცია, ამ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ კვლევა დამუშავდა მეორადი ინფორმაციით, ჩატარდა აბიტურიენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა, კონკურენტების შესწავლას ჰქონდა თავისი მეთოდოლოგია, ასე ცალკე სამუშაო არ ჩატარებულა, სწორედ ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტმა გააკეთა დასკვნა, რომ 2019 წლის რეკომენდაცია არ შესრულებულა.

დაწესებულების პროგრესის/რეგრესის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში კიდევ ძალიან ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაწყვეტი, ბევრჯერ აღინიშნა დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა ის კარგი, რაც იყო ინსტიტუციაში, რაშიც ექსპერტი არ დაეთანხმა, რადგან თითოეულ სტანდარტთან მიმართებით აღნიშნული იყო შესრულებული რეკომენდაციები, მაგრამ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ დასამუშავებელი/გადასაწყვეტი იყო, ამიტომ ცალსახა პროგრესზე საუბარი ჯერ ადრე იყო, თუმცა რეგრესი არ განიხილებოდა, მისი მოსაზრებით დაწესებულება მეტ-ნაკლებად იმავე პოზიციაზე იყო, რაზეც იყო 2019 წელს.

ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა, მესამე სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინსტიტუციას ჰქონდა რეკომენდაცია, რომ მას უნდა ეზრუნა პროგრამების/ახალი პროგრამების განვითარებასა და შემუშავებაზე, რადგან შესაძლებლობა მიეცა სტუდენტებისთვის, მათ შორის ესარგებლათ შიდა მობილობით, საუბარი იყო, რომ, როდესაც, მაგ., „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებოდა სტუდენტი, ამასთან ერთად კარგი იქნებოდა ყოფილიყო სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სტუდენტი შეძლებდა მობილობით გადასვლას, სწორედ ამას გულისხმობდა რეკომენდაცია, შეფასების დროსაც სწორედ ამ მიდგომით განიხილეს, ინსტიტუციამ მოახერხა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია 2021 წლის აგვისტოში, ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ამ შემთხვევაში კი შესაფასებელი იყო სამი საანგარიშო წელი, ინსტიტუციამ აკრედიტაცია მიიღო მესამე წლის მეორე ნაწილში, თუმცა გარდა ამისა, როგორც ინსტიტუციის წარმომადგენლები აცხადებდნენ მათ მიიღეს აკრედიტაცია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც იყო 60 კრედიტიანი, შესაბამისად საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი მობილობით ვერ ისარგებლებდა და ვერ გადავიდოდა 60 კრედიტიან პროგრამაზე, ამიტომ ეს იყო ის ამოსავალი წერტილი, რომლის გამოც რეკომენდაცია შეუსრულებლად ჩაითვალა. საუბარი იყო „ფსიქოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომელმაც 2022 წელს მიიღო აკრედიტაცია, თუმცა ეს ვერ მოექცეოდა იმ საანგარიშო პერიოდში, რომელზეც დაწესებულებას უნდა ემსჯელა.

ბიბლიოთეკის შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს სცადა გადაემოწმებინა როგორ/რა ფორმით იღებდნენ სასწავლო მასალებს, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ამ შემთხვევაში სტუდენტებისგან მიიღეს ინფორმაცია, რომ ისინი ძალიან მადლიერები იყვნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლის, რადგან ის იყო საკონტაქტო პირი, ვინც უგზავნიდა მასალებს, რაც ასევე, ასახულია დასკვნაშიც, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სასწავლო მასალები არც ბიბლიოთეკის თანამშრომელმა და არც იმ კურსის ლექტორისთვის იყო ხელმისაწვდომი და მათ უწევდათ მხოლოდ მოსმენილით ცოდნის მიღება.
სწავლის შედეგების შეფასების შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სცადა ამ მიმართულებითაც დაესვა კითხვები, რადგან საერთო წარმოდგენა შექმნოდათ თუ როგორ ხდებოდა სტუდენტების სასწავლო შედეგების შეფასება, ამ ნაწილშიც რეკომენდაციები ეფუძნებოდა იმ ინფორმაციას, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების დროს დადგინდა, ინფორმაცია მიიღეს როგორც სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ინტერვიუებიდან, ასევე აკადემიური პერსონალისგანაც, როდესაც ისინი საუბრობდნენ შეფასების სისტემაზე მიუთითებდნენ მხოლოდ რიგ შემთხვევაში შეფასების ერთ სისტემაზე, ეს იყო Google Forms-ის Quiz, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა ენახა აღნიშნული ფორმები. რესურსებზე წვდომის შესახებ მან განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალი თვითონ უზრუნველყოფდა სასწავლო მასალების მიწოდებას.

შეფასების ნაწილში მათი რეკომენდაცია ეფუძნებოდა, გარემოებას, რომ მაქსიმალურად სასურველია ინსტიტუციას დაენერგა ისეთი შეფასების მეთოდები სასწავლო კურსებში, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანდა გადაცდომის შესაძლებლობას, რომელსაც შეიძლებოდა ეარსება ყველგან, რაზეც ღიად საუბრობდნენ ადამიანები განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოცდები ტარდებოდა დისტანციურ რეჟიმში და არ ჰქონდათ ამდენი მექანიზმები, ასევე, შეფასება უკავშირდებოდა იმ ფაქტს, როდესაც სტუდენტმა დაასახელა შემთხვევა, რომ სტუდენტები გამოცდის პასუხებს წინასწარ იგებდნენ, ეს ისეთი გარემოება იყო, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი გვერდს ვერ აუვლიდა.

საბჭოს წევრი, ნინო იმნაძე, დაინტერესდა თუ რამდენმა სტუდენტმა ისაუბრა აღნიშნულის შესახებ.
ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა, აღნიშნა, რომ მას გაუჭირდებოდა ზუსტი რაოდენობის თქმა, რადგან ვიზიტი ჩატარდა დეკემბერში.

საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ, განაცხადა, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო რაოდენობა, რადგან საუბარი იყო სერიოზულ ბრალდებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინტერვიუ ჩატარდა 7 სტუდენტთან და 7 კურსდამთავრებულთან.

საბჭოს წევრი, ნინო იმნაძე, დაინტერესდა შვიდივე მათგანმა დაადასტურა თუ არა აღნიშნული.

დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა, განაცხადა, რომ სხდომას ესწრებოდა კურსდამთავრებული, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა, რომ დასკვნა იქნა აგებული მხოლოდ ერთი განაწყენებულ სტუდენტთან ინტერვიუს საფუძველზე, როგორც ექსპერტმა, დავით ცირამუამ აღნიშნა აღნიშნული სტუდენტი გადასული იყო მეოთხე კურსზე.

ექსპერტმა, დავით ცირამუამ, უარყო აღნიშნული ფაქტი.

ექსპერტი, გიგა ხოსიტაშვილი, დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ეს იყო საკმაოდ სერიოზული ბრალდება, თუმცა ამის დაფარვა იქნებოდა დანაშაული, როდესაც ინტერვიუზე მსგავსი ტიპის ინფორმაცია მიიღეს, აუცილებლად უნდა აღმოჩენილიყო დასკვნაში. ბიბლიოთეკის შესახებ მან განაცხადა, რომ წინა პროცესის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა არანაირი რეკომენდაცია, მაგრამ ეს არ უკრძალავდა ექსპერტთა ჯგუფს ინსტიტუციის საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით აესახათ დასკვნაში, მათ ინტერვიუების დროსაც ჰქონდათ კითხვები ბიბლიოთეკის შესახებ და ვიზიტის დროსაც ჰქონდათ შესაძლებლობა ადგილზე ენახათ, მისი მოსაზრებით რეკომენდაციებში მოცემული გარემოება შესაძლებელია ყოფილიყო შეფასების საფუძველი, რადგან ბიბლიოთეკა აღარ არის მხოლოდ ის სივრცე სადაც უნდა ყოფილიყო წიგნები, თუმცა წიგნებთან დაკავშირებითაც იყო აღწერილი დასკვნაში, რომ დახვდათ წიგნები იმ განლაგებით, რასაც არ ითვალისწინებდა საბიბლიოთეკო სტანდარტი, ეს არ იყო ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია, რაც გაწერილია ავტორიზაციის სტანდარტით, რომ უნდა ყოფილიყო ისე განლაგებული, რომ სტუდენტმა წიგნი მოძებნოს დამოუკიდებლად, რომ ერთი ადამიანის ბიბლიოთეკაში არსებობაზე არ იყოს დამოკიდებული, როგორიც ამ შემთხვევაში იყო, ძალიან კარგია, რომ ბიბლიოთეკარი ეხმარებოდა სტუდენტებს, მაგრამ არსებობს გარემოება, რომ ბიბლიოთეკარი არ ყოფილიყო ადგილზე, ამ შემთხვევაში წიგნს თაროზე ვერ მიაგნებდა სტუდენტი და სხვა თანამშრომელი თუ წიგნებს სათითაოდ არ დაათვალიერებდა. ამასთანავე სამეცნიერო ბაზების გამოყენების კუთხით ინსტიტუციას არ გააჩნდა მრავალფეროვანი პრაქტიკა იმ თვალსაზრისით, რომ მიწოდებული სტატისტიკა იყო ძალიან დაბალი, გარდა ამისა კურსდამთავრებულებიც/სტუდენტებიც ამბობდნენ, რომ ამ მიმართულებით სერვისები არ იყო, აკადემიური პერსონალი ადასტურებდა, თუ როგორ გამოიყენონ სამეცნიერო ბაზები, ან დაავალონ სტატიის ნახვა, ამ მიმართულებით აქტივობები არ იყო. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაზებზე წვდომა არ იყო გარანტირებული უნივერსიტეტს მიღმა. საუბარი იყო 2020 წლიდან სხდომის ჩატარებამდე, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო უნივერსიტეტში მისვლა, ამ შემთხვევაში, როდესაც ინსტიტუცია ამბობდა, რომ მათ არ ჰქონიათ ბაზებზე წვდომა, რადგან ბიბლიოთეკის თანამშრომელი უგზავნიდა სტატიას, ეს თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ პრინციპებთან, რომლებსაც საინფორმაციო მეცნიერებები და საბიბლიოთეკო საქმე მოიაზრებდა, რადგან სტუდენტებისთვის უნდა ესწავლებინათ, თუ როგორ გამოეყენებინათ კონკრეტული ინსტრუმენტები, რათა შემდეგ დამოუკიდებლად

შეძლონ და არა ის, რომ მოძებნონ სტატია და გაუგზავნონ, რაც არ უნდა კარგი დახმარება აღმოეჩინათ, სწორედ ამის გამო დადგა ის შეფასება, რაც გაიწერა ბიბლიოთეკის ნაწილში და აღწერით ნაწილში უფრო დეტალურად იყო გაწერილი, მაგრამ ის პოზიტიური ფაქტი, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლით ყველა სტუდენტი, კურსდამთავრებული და აკადემიური პერსონალი კმაყოფილი იყო დასკვნაშიც იყო ასახული.

ექსპერტმა, დავით ცირამუამ, სტუდენტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტუდენტები შერჩეული იყო შემთხვევითი წესით, არჩევდა ცენტრი და შემდეგ დაწესებულება ადასტურებდა მათ ჩამონათვალს, გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს არჩევდა დაწესებულება, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა 7-7 წარმომადგენელს, მისი მოსაზრებით ერთ-ერთ პანელზე იყო ერთით ნაკლები წარმომადგენელი, რაც ეხებოდა ჩანაწერს დასკვნაში საგამოცდო საკითხების წინასწარ გაზიარების შესახებ, აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი წამოჭრა ერთმა სტუდენტმა და დაადასტურა კიდევ რამდენიმემ, შესაბამისად ეს არ იყო ერთი გაბრაზებული სტუდენტის მოსაზრება, იგივე საკითხი იყო 300 ლარიან გაურკვეველ დიპლომზე, რომლის შესახებაც წინასწარ არ იცოდნენ, განაწყენება იგრძნობოდა სტუდენტებში, კურსდამთავრებულებში კი რამდენიმე შემთხვევა იყო ასეთი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წინასწარ ინფორმირებულნი არ იყვნენ.

რეკომენდაციების რაოდენობისა და კომპონენტის შეფასების მიმართებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულება ძალიან დიდიხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა, მათ შორის წინა დაწესებულება სახელწოდებით „ჯორჯია“, რომლის სამართალმემკვიდრე იყო განსახილველი დაწესებულება, უფრო დიდიხნის განმავლობაში არსებობდა, ექსპერტთა ჯგუფი თვლიდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საშუალება 2019 წლის შეფასების შემდეგ აღნიშნული რეკომენდაციები შეესრულებინა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა წინა წლების ბიუჯეტები, პროგნოზები, მათ შორის მუხლებად ჩაშლილი კონკრეტულ აქტივობებზე რის დახარჯვას გეგმავდა დაწესებულება, იქ, სადაც 2 ან 3 რეკომენდაციაზე ეწერა შეუსაბამობა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნდა, რომ აღნიშნული რესურსით, მათ შორის ადამიანური/მატერიალური რესურსით რეკომენდაციის შესრულება მოკლე პერიოდში შესაძლებელი არ იყო, ან დაწესებულებამ ვერ შეძლო მისი წინა წლებში გამოსწორება, სწორედ ამ ლოგიკას ეფუძნებოდა და რაოდენობებით არ წყდებოდა სტანდარტების შესაბამისობის საკითხი.

აღიარების დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ დავით ცირამუამ განმარტა, რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაშიც იყო საუბარი, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუთხოვია აღნიშნული დოკუმენტი, თუმცა იყო ფაქტობრივი მოცემულობა, რომ სტუდენტი მეოთხე კურსზე გადავიდა განსახილველ უნივერსიტეტში საერთოდ სხვა უნივერსიტეტის სხვა პროგრამიდან და სწავლა დაასრულა ერთ წელში.

ხელშემწყობი მექანიზმების შესახებ მან განაცხადა, რომ პრობლემა არ ყოფილა ის, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა დებულება/წესდება, სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს ეცადნენ გაერკვიათ სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ის დოკუმენტები, გადახედეს დოკუმენტაციას და აქედან გამოიტანეს დასკვნა, გააკეთა თუ არა დაწესებულებამ ის, რაც ეწერა დოკუმენტაციაში, ყველა რეკომენდაცია ეფუძნება აღნიშნულს და არცერთი მათგანი არ იყო გაცემული უსაფუძვლოდ, ამიტომ არ თვლიდა, რომ საუბარი შეიძლებოდა უსამართლობაზე ან არაკოლეგიალურ დამოკიდებულებაზე. მან დაადასტურა ის ფაქტი, რომ სოციალური მიმართულებით დაწესებულებამ აქტიურად იმუშავა განსახილველ პერიოდში, რაც ჩანდა დასკვნაშიც.

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილემ, მაია ვასაძემ, მეხუთე სტანდარტის შესახებ განაცხადა, რომ მეხუთე სტანდარტთან მიმართებით არ იყო აკრედიტაცია/ავტორიზაციის პერიოდში არცერთი რეკომენდაცია, 2018 წელსაც კი, როდესაც გაიარეს ავტორიზაცია და საერთაშორისო ექსპერტი იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელსაც არ გაუცია რეკომენდაცია და არც 2019 წელს გაცემულა რეკომენდაცია, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში ბოლო მონიტორინგის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ „გამოვლინდა რიგი მიმართულებებისა, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას“, უმაღლესი შეფასებიდან უდაბლეს შეფასებაზე გადავიდა სტანდარტი, რადგან მიმართულებები იყო გასაუმჯობესებელი, მრავალი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ აღნიშნული მიზეზით სტანდარტის შეუსაბამობამდე დაწევა არ იყო სამართლიანი. გაწერილი იყო შვიდი რეკომენდაცია, რომელზე არგუმენტირებული პოზიციაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა.

მეხუთე სტანდარტის პირველი რეკომენდაციასთან მიმართებით (რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მკაფიო წესი და ამასთან, უზრუნველყოს რეალისტური შედარება პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით), მაია ვასაძემ აღნიშნა, რომ მისი მოვალეობაა მობილობის ადმინისტრირება, დაწესებულება წლები ახორციელებდა მობილობას, დაუგროვდათ საკმაო გამოცდილებაც იმისათვის, რომ პროცესი სწორად/რეგულაციების დაცვით წარემართათ, აღნიშნულ პროცესს არეგულირებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი, მობილობის პროცესი ცენტრალიზებული იყო, მას 2019 წლამდე მართავდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ამ ეტაპზე კი მართავდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მისი განცხადებით ცენტრში ჩატარებული შეხვედრებისას მუდმივად იყო აპელირება იმაზე, რომ გაეთვალისწინებინათ სტუდენტთა ინტერესები კრედიტების აღიარების კუთხით, დაწესებულება ადარებდა კრედიტებს მათთან არსებულ მოქმედ პროგრამებს და შემდეგ

EMIS-ში აგზავნიდნენ პროექტს მობილობით ჩარიცხული სტუდენტების შესახებ, სადაც იყო ინფორმაცია აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესახებ და ჩარიცხვის შესაბამისი სემესტრის შესახებ, ამავე დროს ინსტიტუციაში გაწერილი იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც მობილობის შესახებ საკითხები იყო განხილული, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც აღიარებდა, თუმცა საუბარი იყო ერთ კონკრეტულ სტუდენტზე, რომელიც გადავიდა თსუ-ის „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამიდან, დაწესებულებისთვის ცნობილი გახდა ვინ გააჟღერა აღნიშნული ინფორმაცია, რადგან სტუდენტები/კურსდამთავრებულები, რომლებიც დაესწრნენ აღნიშნულ შეხვედრას, აღშფოთებულნი იყვნენ კონკრეტული სტუდენტის გამო, რადგან აღნიშნული სტუდენტი გადავიდა 2020 წელს, მერვე სემესტრში და მას თსუ-ის „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამაზე ჰქონდა 165 კრედიტი აღიარებული, ახალ უნივერსიტეტში გაეწერა 75 კრედიტი, რადგან სრულ შესაბამისობაში იყო კრედიტები და დაწესებულებამ ხელი შეუწყო, დაიცვეს მისი ინტერესები და განაგრძო სწავლა მერვე სემესტრში, შესაბამისად აღნიშნულმა სტუდენტმა მათთან ისწავლა 1 სემესტრი და მოაგროვა 240 კრედიტი, პროცესი იყო ღია/გამჭვირვალე, უნივერსიტეტის მრავალწლიანი ფუნქციონირების მანძილზე, თითოეულ მობილობით გადასულ სტუდენტს უდგენდნენ დასკვნას, შეიმუშავებდნენ კრედიტების აღიარების დასკვნას, შემდეგ სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებდა თანხმობას აღიარებული კრედიტებისა და განსაზღვრული სემესტრის შესახებ, ამის შემდეგ ხდებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სტუდენტის მონაწილეობით და პრერეკვიზიტების დაცვით, აღნიშნული ხდებოდა რადგან მომხდარიყო კრედიტების რეალისტური შეფასება. აღნიშნული დოკუმენტაცია ნებისმიერი მობილობით გადასული სტუდენტის პირად საქმეში იყო ჩადებული. რადგან

გაჩნდა ეჭვი ექსპერტთა ჯგუფს უნდა მოეთხოვა კრედიტების აღიარების თუნდაც ერთი ნიმუში, რაც არ მომხდარა. მისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაცია ცილისმწამებლური და არა არგუმენტირებული იყო.

მეხუთე სტანდარტის მეორე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია, ნებისმიერი ფინანსური ხარჯი, რომელის სასწავლო პროცესს ან დიპლომის მიღებას უკავშირდება, თავიდანვე მკაფიოდ აისახოს ხელშეკრულებაში და მკაფიოდ წარედგინოს სტუდენტებს) შესახებ, მან განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ერთადერთია, რომელიც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, აღნიშნული რეკომენდაცია გაიწერა, რადგან აინტერესებდათ კონკრეტული ხარჯი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, იყო თუ არა ხელშეკრულებაში, რომელშიც რატომღაც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა მათთვის საინტერესო ინფორმაცია და ეს მოახერხეს, მხოლოდ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ, მისი მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მათი საქმიანობის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების ნათელ მაგალითს, რადგან მას დარჩა განცდა, რომ იმავე წარმატებით გაეცნენ სხვა დოკუმენტებსაც.

მეხუთე სტანდარტის მესამე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს თანმიმდევრული და ქმედითი მექანიზმი სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად) შესახებ მაია ვასაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით რეკომენდაცია გამომდინარეობდა 22-ე რეკომენდაციიდან (რეკომენდირებულია ინსტიტუციამ შეიმუშაოს აკადემიური მხარდაჭერის სერვისები სტუდენტებისთვის, რომელიც დაეხმარებათ სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში), აკადემიაში დაცული იყო სტუდენტთა უფლებები, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი იყო ზედაპირული, არ აღწერდა, მაგ., გასაჩივრების პროცედურას და ა.შ., ამ კუთხით ინსტიტუციაში შემუშავებული იყო ეთიკის კოდექსი, და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, ამ დოკუმენტის მიზანი იყო დახმარებოდა აკადემიის პერსონალს და სტუდენტებს იმ ეთიკური საკითხების, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დადგენასა და გადაჭრაში, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას მათი ურთიერთობის პერიოდში, ასევე, აკადემიაში მოქმედებდა აკადემიის დებულება, სადაც გაწერილი იყო სტუდენტისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკითხები, საგამოცდო ცენტრის დებულებაში გაწერილი იყო შუალედური/ფინალური გამოცდების ჩატარების წესი და გასაჩივრების პროცედურები, აღნიშნული დებულება იცავდა სტუდენტთა უფლებებს გამოცდების კუთხით, აკადემიაში ფუნქციონირებდა სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც 2019 წლის შეფასებით უკიდურესად დადებითად შეფასდა, წერდნენ, რომ უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული გარემო იყო, არ წარმოადგენდა პრობლემას ნებისმიერ ადმინისტრაციის წარმომადგენელთან შეხვედრა, სტუდენტური თვითმმართველობა პასუხისმგებელი იყო სტუდენტთა დახმარების მომსახურეობისა და საჭიროებების შესახებ ადმინისტრაციის საქმის კურსში ჩაყენებისა და ა.შ. სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ხელი შეეწყო სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, სტუდენტები რეალურად იღებდნენ მხარდაჭერას თვითმმართველობისგან. ასევე, აკადემიაში სტუდენტები იყვნენ მართვის ორგანოებშიც, სენატსა და სკოლის საბჭოში, ორივე მათგანში წარმოდგენილი იყო სტუდენტთა რაოდენობა და მათ შეეძლოთ თავიანთი აზრის დაფიქსირება, თვითმმართველობის წარმომადგენლები უფლებამოსილნი იყვნენ სკოლის დეკანის ან დეკანის მოადგილის მოწვევით დასწრებოდნენ სკოლის საბჭოს სხდომებს, სადაც ჰქონდათ ხმის უფლება, სტუდენტთა უფლებების შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია ჩარჩო ხელშეკრულებაშიც, ყველა აღნიშნული დოკუმენტი იყო მოცულობითი და ატვირთული იყო აკადემიის ოფიციალურ ვებ გვერდზე და თავისუფლად შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისი ნახვა, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს არც თეორიული და არც პრაქტიკული კუთხით ჰქონიათ დარღვევა, დაწესებულების არსებობის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი

შემთხვევა სტუდენტს საჩივრის წერილით მიემართა დაწესებულების ან სამინისტროსთვის, მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არც ამ ნაწილში შეესაბამებოდა სიმართლეს.

შემდეგი რეკომენდაციის (რეკომენდირებულია, დაწესებულებამ ფორმალიზებული და სტრუქტურირებული ხასიათი მისცეს სტუდენტთა კონსულტირებას და ამასთან, მკაფიოდ გამიჯნოს სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები ამ ნაწილში) შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები წინააღმდეგობრივი იყო, რადგან ისინი წერდნენ: „დაწესებულება მეტწილად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით სტუდენტთა მხარდაჭერას, თუმცა, ამ პროცესს არ აქვს ფორმალიზებული ან სტრუქტურიზებული ხასიათი“, რაც ნიშნავდა, რომ დაწესებულება ახორციელებდა, მაგრამ ამას არ ჰქონდა ფორმალიზებული/სტრუქტურიზებული ხასიათი, ასევე ეწერა, რომ უნდა გამიჯნულიყო სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობა აღნიშნულ ნაწილში, აკადემიის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს ჰქონდა საკუთარი დებულება, რომელიც არეგულირებდა უფლებების, მხარდაჭერის, კონსულტირების საკითხებს, ანუ სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები ამ ნაწილში გამიჯნული იყო, აკადემიაში არსებული პრაქტიკა აპრიორი ორიენტირებული იყო სტუდენტებზე და მორგებული იყო მათ საჭიროებებზე, ყველა სტრუქტურული ერთეული მათი უფლებამოსილების ფარგლებში ეხმარებოდა სტუდენტებს, მაგ., სკოლა - სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, კარიერული მხარდაჭერის ცენტრი - დასაქმებასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკა - რესურსებით, ასე, რომ რეალურად ფუნქციონირებს. მისი მოსაზრებით, იკვეთებოდა საკუთარი მაგალითის შეფასებაში გადატანის ექსპერტთა მცდელობა, მაგ., ზოგ უნივერსიტეტს ჰქონდა სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რაც მიუღებელი იყო, შესაბამისად დაწესებულებისთვის გაუგებარია თუ როგორ უნდა იყოს სხვანაირად უფრო მეტად ფორმალზებული, ამავე სტანდარტის შეფასების ნარატივში ეწერა, რომ ნაცვლად ფაკულტეტის ადმინისტრაციისა ამ და სხვა მრავალ ფუნქციას ითავსებდა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რაც მან განმარტა, რომ ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პარალელურად აკადემიის რექტორის ბრძანებით აკადემიაში შეიქმნა სასწავლო პროცესის ტექნიკურად მხარდამჭერი ჯგუფი - პროცესის ეფექტურად და ორგანიზებულად მართვისათვის, ამ ჯგუფში სხვა პირებთან ერთად იყო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელიც, რომელიც მუდმივ რეჟიმში უწევდა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს დახმარებას, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი იყო ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, შესაბამისად სტუდენტები კარგად იცნობდნენ და ბევრ საკითხზე მიმართავდნენ მას, რადგან ისიც ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა მათ. მისი მოსაზრებით ამ ნაწილშიც საქმე ჰქონდათ არსებული რეალობის არაობიექტურად შეფასებასთან.

2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდირებულია, შემუშავდეს საუნივერსიტეტო აკადემიური სტილი, რომელიც შესაბამისობაში იქნება რომელიმე საერთაშორისო ნორმასთან. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ცოდნის ამაღლება შემუშავებულ სტანდარტებთან მიმართებაში) შესახებ მან განაცხადა, რომ მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტში აღიარებული პრაქტიკა იყო, რომ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ გამოყენებული ყოფილიყო წერის ერთიანი სტილი, რაც აკადემიურ ნაშრომებს ერთიან ჩარჩოში მოაქცევდა ნაშრომებს, ანალოგიური მდგომარეობა იყო განსახილველ დაწესებულებაშიც, შემუშავებული ჰქონდათ ნაშრომის დაწერის წესი, რომელიც შემუშავდა 2019 წელს გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ამ წესით იყო განსაზღვრული აკადემიური სტილი, რომელიც გამოყენებული იყო აკადემიაში, საუბარი იყო APA-სა და Chicago-ზე, ასევე გამოყენებული იყო, ამ სტილის სახელმძღვანელო ინსტრუქცია, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, როგორც პროფესორებისთვის, ასევე სტუდენტებისათვის, დოკუმენტი განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ენახა. მან აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს აკადემიის წარმომადგენლების მხრიდან არაერთხელ

აღნიშნა შესაბამისი წესის არსებობის შესახებ, თუმცა ექსპერტებმა დამატებით დოკუმენტებში აღნიშნული წესი არ მოითხოვეს და გაწერეს რეკომენდაცია, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის ჩანაწერი, რომ დაწესებულების წესებში არ არსებობდა შესაბამისი ჩანაწერი არ იყო მართალი. აკადემიის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი“, რომელიც 2021 წელს გახდა რეფერირებადი, შესაბამისად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, იმისათვის, რომ ჟურნალ გამხდარიყო რეფერირებადი, უნდა დაეკმაყოფილებინა საერთაშორისო სტანდარტები, მისთვის გაუგებარი იყო, როგორ მოხერხდებოდა აღნიშნული, თუ არ ჰქონდათ შემუშავებული კონკრეტული სტანდარტები.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, სთხოვა დაეზუსტებინათ ჟურნალი რეფერირებადი გახდა თუ ინდექსირდებოდა რომელიმე ბაზაში.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, სოფო ალფაიძემ, დასძინა, რომ გახდა რეფერირებადი და გააზიარა ინსტიტუტ ტექინფორმის დირექტორის მიერ გაცემული ცნობა.

დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა, კურსდამთავრებულთა რაოდენობის შესახებ, განაცხადა, რომ ინსტიტუცია 1996 წლიდან ფუნქციონირებდა საგანმანათლებლო სივრცეში, შესაბამისად მას ჰყავდა 2000-მდე კურსდამთავრებული, აქედან გამომდინარე, მხოლოდ „ბიზნესის ადმინისტრირების“ კურსდამთავრებულები იყვნენ მითითებული, აღნიშნულ ინსტიტუციას ადრე ჰქონდა სამართლის, ფსიქოლოგიის და სხვა ფაკულტეტები, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ აღნიშნული ჩანაწერი აქედან გამომდინარეობდა. დაინტერესდა თუ სად იყო მითითებული აღნიშნული ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, განმარტა, რომ აღნიშნული მითითებული იყო დასკვნაში.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანჟელა აბულაძემ, განმარტა, რომ ეს იყო რეესტრის მონაცემები, და მოიცავდა მხოლოდ ბიზნესის მიმართულებას.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, დააზუსტა, რომ აღნიშნული 413 სტუდენტი ეკუთვნოდა თუ არა ისეთ მიმართულებებს, რომლებიც აღარ ფუნქციონირებდა დაწესებულებაში.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა დაადასტურა საბჭოს წევრის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, რადგან იყო სხვა ფაკულტეტები და აღარ ფუნქციონირებდა, გამოიანგარიშეს მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულები.

საბჭოს წევრი, გაგა გვენეტაძე, დაინტერესდა დაამთავრა თუ არა 1996 წლიდან უნივერსიტეტი ჯამში 774-მა სტუდენტმა.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს იყო მხოლოდ ბიზნესის მიმართულებს კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

საბჭოს წევრმა გაგა გვენეტაძე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუკი მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენდა 774, აღნიშნულ სიაში რატომ იყო გაწერილი ასევე 361 კურსდამთავრებული და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ აღნიშნული საკითხი.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, განაცხადა, რომ 2019 წლის დასკვნაში, პროგრამის დასრულების მაჩვენებელში საერთოდ არ იყო გაწერილი კურსდამთავრებულთა რაოდენობა, მან მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს საერთოდ არ იყო 2019 წელს კურსდამთავრებულები 2019 წელს და ორ წელში ამხელა პროგრესი განიცადა დაწესებულებამ

თუ მაშინ არ იყო სრულყოფილი ინფორმაცია ასახული. მან განმარტა, რომ აღნიშნულის გაგება საბჭოს სჭირდებოდა დაწესებულების პროგრესის დასადგენად.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეესტრი არსებობდა 2007 წლიდან, შესაბამისად რაც იყო სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა - 774, ეს იყო კურსდამთავრებულები ბიზნესის მიმართულებით.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა, დაინტერესდა თუ რას ნიშნავდა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა 361 რაოდენობა - აღნიშნული რაოდენობა იყვნენ თუ არა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულები.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ისინი არ იყვნენ ბიზნესის კურსდამთავრებულები.

დაწესებულების ვიცე რექტორმა, მარინე კობალავამ, დასძინა, რომ სხვები უცხო ენების კურსდამთავრებულები იყვნენ.

საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას კურსდამთავრებულთა ჯამური რაოდენობა გაწერილი ჰქონდა 774 და 361 ბაკალავრი. გაგა გვენეტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდა თუ არა დაწესებულებას „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა, განმარტა, რომ ადრე დაწესებულება ახორციელებდა სამივე საფეხურის პროგრამებს.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, დააზუსტა არსებობდა თუ არა ამ ეტაპზე სხვა საფეხურები.

დაწესებულების ვიცე რექტორმა, მარინე კობალავამ, განაცხადა, რომ 1996 წლიდან მოღვაწეობდა აღნიშნულ დაწესებულებაში სხვადასხვა პოზიციაზე და ინსტიტუცია იყო სამ საფეხურიანი, მას ჰქონდა ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა (ბიზნესის ფაკულტეტი), აქედან გამომდინარე დაწესებულებას ჰქონდა ბიზნესის ადმინისტრირება, უცხო ენები, სამართლის ფაკულტეტი და ამ მონაცემების საფუძველზე იქნა ის მონაცემები დადგენილი, რაც დასკვნაში იყო წარდგენილი.

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილემ, მაია ვასაძემ, განაცხადა, რომ უსამართლოდ იყო შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“, ნარატივში საუბარი იყო პლაგიატის დეტექციის პროგრამაზე, რომელიც შეაფასეს, როგორც არა ქმედითი, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება პლაგიატის დეტექციის მიმართულებით საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კოსორციუმ 2017-თან, რომელიც არ იყო კერძო ორგანიზაცია, ეს იყო არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც თავმოყრილი იყო ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის, აღნიშნული იყო მისი ოფიცალური წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც მოღვაწეობდა 2019 წლიდან, მასში გაერთიანებული იყო 60-ზე მეტი ქვეყანა, ხოლო საქართველოში 40-ზე მეტი უნივერსიტეტი და პლაგიატის პროგრამა სწორედ აღნიშნული კონსორციუმის ფარგლებში ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში, და გამოიყენებოდა არაერთ ავტორიზებულ უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა საბაკალავრო ნაშრომები, რომლებიც გადაუგზავნა დაწესებულებამ, პლაგიატის დასკვნის პირველ გვერდებთან ერთად, რადგან მასზე ეწერა აკმაყოფილებდა თუ არა კონკრეტული ნაშრომი პლაგიატის კუთხით მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს. მსგავსი შემთხვევა ჰქონდათ აკრედიტაციის პერიოდშიც, თხოვდნენ ხოლმე საბაკალავრო ნაშრომებს და დაწესებულება

აგზავნიდა მხოლოდ პირველ გვერდებს, მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს გამარტივების მიზნით, რადგან თითოეული დასკვნა იყო ძალიან მოცულობითი 15-20-50 გვერდამდე ადიოდა, პირველ გვერდზე წარდგენილი იყო პროცენტული მაჩვენებელი, ხოლო შემდეგ გვერდებზე ჩაშლილად იყო თუ რომელი კონკრეტული წინადადება, რომელი აბზაცი შეიძლება ჩათვლილიყო პლაგიატად, ამიტომ ინსტიტუციისთვის გაუგებარი იყო კეთილსინდისიერების პრინციპის ეჭვის ქვეშ დაყენება, იმ პირობებში, როდესაც დაწესებულებას ემსახურებოდა ასეთი მაღალი რეიტინგისა და კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაცია და პლაგიატის დეტექციის პროგრამა, რომელთა სანდოობა და ქმედითუნარიანობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, მისი მოსაზრებით, საქმე ჰქონდათ ექსპერტების მიერ საკუთარ ინსტიტუციაში მოქმედი პლაგიატის პროგრამის უპირატეს მდგომარეობაში დაყენების მცდელობასთან, რაც აბსოლუტურად მიუღებელია.

2.3 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს კეთილსინდისიერების პრინციპების ფართო იმპლემენტაცია და გამორიცხოს საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობები) შესახებ, განაცხადა, რომ ეს იყო სწორედ ის საკითხი, რომელზე საუბარიც უხერხული იყო მისთვის, რადგან ინსტიტუციისთვის ყოვლად მიუღებელი იყო ექსპერტთა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფინალური/დასკვნითი გამოცდების საკითხები წინასწარ მიეწოდებოდათ სტუდენტებს, ამის შესახებ განაცხადა, მხოლოდ ერთმა სტუდენტმა. მან აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებას საშუალება ექნებოდა თავისი სურვილით შეერჩია სესიაზე დამსწრე სტუდენტები, ის კონკრეტული სტუდენტი არ მოხვდებოდა, რომლმაც ასე ისაუბრა დაწესებულებაზე, სრულიად უსამართლოდ, როდესაც ექსპერტი მსგავს ბრალდებას მოისმენდა სტუდენტისაგან ბუნებრივია მას გაუჩნდებოდა ეჭვი, მაგრამ მაქსიმალურად უნდა ეცადა ობიექტური რეალობის დადგენა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ, დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ ესაუბრათ ფაქტობრივ მდგომარეობებზე, რადგან მათ არ ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფის შეფასების დისკრეცია.

დაწესებულების ვიცე რექტორმა, მარინე კობალავამ, განაცხადა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა დაწესებულების წარმომადგენელს შეაწყვეტინა საუბარი რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ, განმარტა, რომ მას არ შეუწყვეტია არცერთი რეკომენდაციის განხილვის პროცესი, სადაც რიგგარეშე დისკუსია მიმდინარეობდა, ჩაერია მხოლოდ პროცედურულ ნაწილებზე და მისთვის მიუღებელი იყო დაწესებულების მხრიდან ამ ტიპის შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ცენტრი წარმომადგენელი ვერ და არ ერეოდა შინაარსობრივ განხილვაში.

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილემ, მაია ვასაძემ, საბჭოს
თავმჯდომარესთან დააზუსტა, შეეძლო თუ არა ეხსენებინა სიტყვა „ექსპერტი“.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეეძლო ეხსენებინა, მაგრამ არა მისი შეფასების თვალსაზრისით.

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა დაედგინა თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი აძლევდა საგამოცდო პასუხებს წინასწარ, თუმცა ამის დადგენა შეუძლებელი გახდა, მისი მოსაზრებით აუცილებლად შეუძლებელი გახდებოდა, რადგან მსგავს შემთხვევას არ ჰქონია ადგილი, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ როდესაც მათ მოინდომეს საკუთარი აზრის დაფიქსირება არ მისცეს აზრის დაფიქსირების საშუალება, მან სთხოვა სხდომაზე დამსწრე პირებს შეეფასებინათ აღნიშნული ცილისწამება, რომელიც არ იყო დადასტურებული არგუმენტაციით და უკიდურესად შეურაცხყოფდა დაწესებულებას, აკადემიურმა პერსონალმა გადაწყვიტა შეემუშავებინათ პეტიცია და წარედგინათ ცენტრში, რომ ემიჯნებოდნენ ასეთ მიდგომას.

დაწესებულების რექტორის, სალომე პირველის, განცხადებით ინტერვიუების დროს მრავალჯერ განიმარტა, რომ დაწესებულებამ წარადგინა სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეხმიანებოდა 2018-2019 წლებს, 2019-2020 წლებსა და 2020-2021 წლებს, ხოლო ახალი სტრატეგიული გეგმა 2022 წლის დადგომისთანავე უნდა შესულიყო ძალაში, რადგან ის მტკიცდებოდა სენატზე, რომელიც იყო კოლეგიური ორგანო, აღნიშნული დოკუმენტი 2022 წლის დადგომიდანვე ხელმისაწვდომი იყო აკადემიის ოფიციალურ ვებ გვერდზე, რაც შეეხება მოძველებულთან დაკავშირებით, ის სამოქმედო გეგმა მოიცავდა 2018-2019, 2019-2020 და 2020-2021 წლებს. 2019 წლის შემდეგ ინსტიტუციის განვითარების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით დაწესებულებას პროგრესი არ განუცდია, ისმოდა კითხვა თუ როგორ იყო დაწესებულება იგივე საფეხურზე, როდესაც 2019 წელს არცერთი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული არ ჰქონდა, ხოლო 2021 წელს დაწესებულებაში ხორციელდებოდა 6 საგანმანათლებლო პროგრამა. ხელშეკრულების შესახებ მან განაცხადა, რომ თვითონ იყო იურისტი და როდესაც ხელშეკრულებას ხელს აწერდა სტუდენტი ან ნებისმიერი ფიზიკური პირი, ის ეთანხმებოდა ხელშეკრულებაში არსებულ მოცემულობას, ინფორმირების შესახებ მან განმარტა, რომ საუბარი იყო კურსდამთავრებულზე, რომელიც განაწყენებული იყო ინსტიტუციაზე, მისთვის გაუგებარი იყო თუ როგორ შეიძლებოდა ეთქვა სტუდენტს, რომ ხელშეკრულებაზე, რომელზეც სტუდენტმა მოაწერა ხელი ის არ იყო სათანადოდ ინფორმირებული.

ბიბლიოთეკარის ცუდად გახდომის შემთხვევაში, მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკას ჰყავდა ორი თანამშრომელი, შესაბამისად თუ ერთი გახდებოდა ავად მეორე იქნებოდა ბიბლიოთეკაში, თუ არცერთი არ იქნებოდნენ, რექტორს ჰქონდა უფლებამოსილება დაენიშნა შემცვლელი. როდესაც ექსპერტი შედიოდა რექტორის უფლებამოსილებაში, კითხულობდა, თუ როგორ მისი განმარტებით ეს იყო 2020-2021 წლებში, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც რექტორის დისკრეციის, უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებდა რექტორის მიერ მიცემულ დავალებებს, მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფი ამ მოცემულობაში არ უნდა შესულიყო სიღრმისეულ განსჯაში, რადგან ეს მხოლოდ რექტორის დისკრეციული უფლება იყო. წიგნების შესახებ მან განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მხოლოდ ის ინფორმაციაც საკმარისია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე არ დაათვალიერა ბიბლიოთეკა და შეამოწმეს მხოლოდ ელექტრონული კატალოგი, მისი მოსაზრებით, ბიბლიოთეკის დათვალიერება ხდებოდა სხვანაირად, რადგან 6 საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობისას ძალიან კარგად იყო ნაჩვენები.

რექტორმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს, ნიკა თიკანაშვილს შეფასებისთვის, და აღნიშნა, რომ დაწესებულების არსებობის განმავლობაში არცერთხელ მეხუთე სტანდარტში შეუსაბამოდ არ ყოფილა შეფასებული, სწორედ ამიტომ არ იყო გაწერილი თვითშეფასებაში, 2019 წელს მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად, როდესაც ამ შემთხვევაში მეხუთე სტანდარტი მხოლოდ იმის გამო დაწიეს, რომ ჩარჩო

ხელშეკრულებაში არ ეწერა, რაც შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეწერა და დადასტურდა. მობილობის აღიარების წესი არ იყო მკაფიო, რაც ექსპერტთა ჯგუფმა თვითონ აღიარა, რომ მობილობის არცერთი უწყისი არ ჰქონდათ გამოთხოვილი, შესაბამისად ეს დადგინდა ინტერვიუებზე, სადაც აღმოჩენილი გარემოებები საჭიროებდა გადამოწმებას და არ განხორციელებულა.

კურსდამთავრებულმა, ნოდარ ბაგაურმა, განაცხადა, რომ ესწრებოდა წინა შეხვედრებსაც და იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ბრალდებები გაჟღერდა მხოლოდ ერთი სტუდენტის მხრიდან, მან აღნიშნა, რომ ინტერვიუზეც სურდა სიტყვის თქმა, თუმცა არ მიეცა ამის საშუალება. ინტერვიურებისას ექსპერტმა, დავით ცირამუამ, განაცხადა, რომ სტუდენტებს გამოცდის პასუხებს წინასწარ აძლევდნენ, რომელიც ერთმა სტუდენტმა დაადასტურა, აღნიშნულის მოსმენის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა, აღარ განაგრძო ამ საკითხის განხილვა და ამით შეხვედრა დასრულდა, მან აღნიშნა, რომ თავად მივიდა დაწესებულებაში და განუცხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ კონკრეტულმა კურსდამთავრებულმა აღნიშნული საკითხი დაადასტურა ინტერვიურების ფარგლებში.

ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი არამხოლოდ 2.3 კომპონენტში, არამედ მესამე სტანდარტშიც მეორდებოდა, რადგან ექსპერტთა ჯგუფი მთელი ვიზიტის განმავლობაში ცდილობდა გადაემოწმებინა ინსტიტუციაში აკადემიური პერსონალის პერსპექტივიდან, ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა პერსპექტივიდან, თუ როგორ უყურებდნენ აკადემიური კეთილსინდისიერებას, რა გზა/მექანიზმები და პროცედურა არსებობდა, გამოიკვეთა შემდეგი: აკადემიური პერსონალი აკადემიურ კეთილსინდისიერებას განმარტავდა, როგორც მხოლოდ პლაგიატის შემთხვევები და ამბობდნენ, რომ პლაგიატის შემთხვევებს ამოწმებდნენ საბაკალავრო ნაშრომში, რაც გასაგები იყო, თუმცა საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი წერდა მეოთხე კურსის ბოლოს, ანუ მთელი 7 სემესტრის განმავლობაში პლაგიატზე მისი არცერთი ნაშრომი არ მოწმდებოდა, რის შესახებაც კითხვა დაისვა სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან რა ხდებოდა მაშინ, როდესაც მათ გამოუვლენდნენ პლაგიატს, თუმცა ასეთი მაგალითი ვერ გაიხსენეს, აღნიშნული ფაქტი ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა. მან დასძინა, რომ მათი რეკომენდაციები არა კონკრეტული პროგრამის შეძენისა ან პროგრამის ხელმისაწვდომად გახდომაში, არამედ იმისკენ, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება გაეანალიზებინათ, როგორც სერვისების ერთობლიობა, ეს არი იყო მხოლოდ დავალების შემოწმება სტუდენტისათვის, საუბარი იყო აკადემიურ სერვისებზე, მაგ., როგორ გაეკეთებინათ სწორად ბიბლიოგრაფია, როგორ მიეთითებინათ წყაროები, წყაროების სანდოობასთან დაკავშირებით მთელი ეს კითხვები ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებთან, თუმცა მათ ვერ გაიხსენეს მსგავსი ტიპის შეხვედრები. შესაბამისად რეკომენდაციები სწორედ ამ მიმართულებით იყო გაცემული.

ექსპერტმა, დავით ცირამუამ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ სხდომა კონტრშეტევის გზით წარმართა, კურსდამთავრებულის მიერ ნათქვამი, რომ თითქოს ზემოაღნიშნული კითხვით დამთავრდა შეხვედრა არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები იმაზე მეტხანს გააგრძელა, ვიდრე გაწერილი იყო, მისი თქმით, ეს არ იყო ერთი შემთხვევა და სტუდენტებთანაც გამოვლინდა იგივე ფაქტი, გარდა ამისა, შესაძლებელია სხდომაზე დამსწრე კურსდამთავრებულს არ ახსოვდა, მაგრამ ექსპერტს ახსოვდა, რომ სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს არ ყოფილა ერთეული შემთხვევები, იგივე შეიძლება ითქვას დიპლომის ხარჯზე, გამოცდის საკითხებსა და სტუდენტთა პანელებზე. დაწესებულების პოზიცია კი რომელსაც კურსდამთავრებულმა მოუთხრო რომელმა სტუდენტმა ისაუბრა ამ საკითხზე, ძალიან ცუდად მეტყველებს პროცესებზე, რადგან შესაძლებელია მომავალში საერთოდ აღარ მოუნდეთ სტუდენტებს მონაწილეობის მიღება იმის შიშით, რომ მეორე დღეს ვინმე

მოუყვებოდა დაწესებულებას, რის შედეგადაც დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ ყველა პრობლემაზე აღნიშნულმა სტუდენტმა ისაუბრა, რომელიც გაბრაზებული სტუდენტი იყო და ექსპერტებს, რომლებსაც 10-ზე მეტი დაწესებულების და 20-ზე მეტი პროგრამის შეფასებაში მიუღიათ მონაწილეობა ისეთი გამოუცდელები იყვნენ, რომ გაბრაზებული სტუდენტის გარჩევა ვერ მოახერხეს რეალობისგან.

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელმა, მურმან ციქუბაძემ, 7.4 კომპონენტთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ შეფასებული იყო, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მან აღნიშნა, რომ სტანდარტებზე გაცნობისას გაუკვირდა შედეგი, რადგან 7.4 კომპონენტთან გაცემული იყო 7 რეკომენდაცია, რის საფუძველზეც შეფასდა, როგორც სრული შეუსაბამობა, მაგ., გაცემული იყო რეკომენდაცია - რეკომენდირებულია სასწავლებელმა შეიმუშავოს ფინანსური შემოსავლების დივერსიფიცირების რეალისტური გეგმა, დაწესებულებამ არათუ შეიმუშავა გეგმა ერთი ექვსად აქციეს, როდესაც გაწერეს აღნიშნული რეკომენდაცია, გაითვალისწინეს, წარმოუდგენელი შრომა გასწიეს და ეს იყო ფაქტობრივი გარემოება, რომ იყო ერთი და გახდა ექვსი; ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია - რეკომენდირებულია, რეალისტურად შეფასდეს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის საჭირო ადეკვატური ფინანსური რესურსის მოცულობა და შესაბამისად იქნას ასახული ბიუჯეტში - მისი თქმით, ყველა კომპანიაში ბიუჯეტირებას შეიძლება ჰქონოდა განსხვავებული აზრი, კონკრეტულ თანხებთან დაკავშირებით რამდენი დარგის სპეციალისტიც იყო იმდენი აზრი შეიძლება ყოფილიყო, რაც არ შეიძლებოდა სტანდარტზე ხაზის გადასმის საფუძველი გამხდარიყო, რადგან ბიუჯეტირებაში გაწერილი იყო სტუდენტთა ღონისძიებების ხარჯები, ხელშეწყობის ხარჯები, ატარებდნენ უამრავ ტრენინგს, მათ შორის სტუდენტებთან დაკავშირებით, შესაბამისად შეიძლება ყოფილიყო განსხვავებული პოზიცია, მაგრამ არ შეიძლება ყოფილიყო იმის ინდიკატორი, რომ შეფასებულიყო როგორც არა რეალისტური, რადგან ამას სჭირდებოდა არგუმენტიც; საუბარი იყო რეკომენდაციაზე - რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს ფინანსური და მატერიალური სამსახურის საშტატო განრიგს და სამუშაო დატვირთვის და ფუნქციების შესაბამისად, გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა, ეფექტიანობისა და კონტროლის ადეკვატური ხარისხის მისაღწევად - მისი მოსაზრებით, როდესაც ამ ტიპის მკაფიო რეკომენდაცია იწერებოდა აქვე სურდა მოესმინა არგუმენტიც, რადგან მას რომ ფაქტობრივი გარემოება ემტკიცებინა, სჭირდებოდა არგუმენტი თუ რაზე დაყრდნობით იქნა შემუშავებული აღნიშნული რეკომენდაცია, იყო თუ არა განხილული ქართული რეალობა და 300 ადამიანზე რამდენი ფინანსისტი ჰყავდა აღნიშნულ უნივერსიტეტს, იყო თუ არა გათვლილი/განსჯილი სხვა უნივერსიტეტების მაგალითი, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ არსებული ზომიდან გამომდინარე სრულად აკმაყოფილებდნენ სტანდარტს, კოლეჯი იყო მაქსიმუმ 300 კაციანი; გაცემული იყო რეკომენდაცია - რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგებებისა და კვალიფიციური აუდიტის მიერ მომზადებული დასკვნების საჯაროობა - იგი ნაწილობრივ დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას და განმარტა, რომ მათ კომპანიაში იყო ლიცენზირებული აუდიტის ჩატარების მრავალწლიანი პრაქტიკა, რომელიც იყო უწყვეტი, მაგრამ როდესაც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის წესში შევიდა ცვლილება და ყველა ქართული კომპანია დაყვეს 4 ზომით კატეგორიად და შეუსაბამეს შესაბამისი სტანდარტი, აღნიშნული დაწესებულება აღმოჩნდა ყველაზე მცირე ზომით კატეგორიაში და ამ სტანდარტით იხელმძღვანელეს, ჩაატარეს აუდიტი, შეავსეს ფორმა, მიაწოდეს აუდიტის სამსახურს 2021 წელს, როდესაც მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულებამ გადაუგზავნა მათ, თუმცა შენიშვნა იყო მისი საჯაროობის შესახებ, ვინაიდან ამას კანონი არ ავალდებულებდა. დაწესებულებამ განაცხადა მზადყოფნა ლიცენზირებული აუდიტის ჩატარებისა, თუმცა მათ ალოგიკურად მიაჩნდათ ამის გამო შეუსაბამობის დადგენა; ბიუჯერტირების შესახებ მან განაცხადა, რომ ეს იყო ძალიან მკაფიო, სამსახურების მიხედვით ბიუჯეტირება იყო

დეცენტრალიზებული, ვინაიდან ფინანსური სამსახურის უფროსისთვის უცნობია რა სჭირდება სხვა სამსახურს, რასაც განკარგავდა კონკრეტული დოკუმენტი - „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი“, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული იყო კონკრეტული პერიოდები, როდის ხდებოდა ბიუჯეტის ანალიზი, სამსახურისა და სკოლის მიხედვით საჭიროებების განსაზღვრა/მიწოდება, ამის ანალიზი და დამტკიცება, მისი თქმით ყველა მსგავსი წესი გადმოღებული ჰქონდათ სხვა ავტორიზებული უნივერსიტეტებიდან.

სტუდენტური ბაზის „ინი ჯგუფის“ წარმომადგენელმა, არჩილ ილურიძემ, Microsoft ლიცენზირებულ ვერსიასთან დაკავშირებული რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ საქართველოში მოქმედი არცერთი კანონმდებლობით არცერთი ინსტიტუცია არ იყო ვალდებული შეეძინა აღნიშნული პროდუქტი, შესაბამისად არ ჩათვალეს საჭიროდ მისი შეძენა. ტესტირების პროგრამის შესახებ მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა ელექტრონული სერვისების მართვის სისტემა, სადაც ელექტრონული ტესტირების სისტემა ჩაინტეგრირეს, ამისთვის დასჭირდათ დრო და 10 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრაზე მათ აჩვენეს ტექნიკურად გამზადებული პროდუქტი, თუმცა აღნიშნული პლატფორმით ტესტირება ჯერ არ იყო ჩატარებული.

დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა, განაცხადა, რომ სტუდენტებთან შეხვედრაზე სამი სტუდენტი იყო მასწავლებელთა მომზადების პროგრამის წარმომადგენელი, რომლებიც შეუერთდნენ 2021 წელს და სწავლა დაიწყეს ოქტომბრის შუა რიცხვებში, შესაბამისად შესაძლებელი იყო ახალი პროგრამის სტუდენტებს არ ჰქონდათ ისეთი ძირეული ცოდნა.

საბჭოს წევრის, გაგა გვენეტაძის თქმით, 5.1 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო, რომ „ინტერვიუებისას გამოიკვეთა გარკვეული პრაქტიკა, რომელსაც დაწესებულება მობილობით ჩარიცხული სტუდენტების მიმართ იყენებს - დაწესებულებიდან უკავშირდებიან სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს“ - აღნიშნა თუ როგორ ხდებოდა სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკონტაქტო ინფორმაციის მოპოვება და დაკავშირება, რადგან ეს იყო სტუდენტების პირადი ინფორმაცია და ღია წვდომა მათზე არ უნდა ყოფილიყო.

დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა, განაცხადა, რომ ეს იყო ფასიანი სერვისი რომელსაც სთავაზობენ დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ კორონავირუსის პანდემიის დადგომისთანავე ჰქონდათ შეხვედრა მინისტრთან, სადაც საუბარი იყო, რომ უნდა ამოეწერათ სტატუსშეჩერებული სტუდენტების სიები, შემდეგ დაედგინათ ვის ჰქონდა ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი შეჩერებული და აღნიშნულ სტუდენტებს უნდა გაეგრძელებინათ სწავლა, დაწესებულების წარმომადგენლები დაუკავშირდნენ სტუდენტებს, რადგან ეს იყო პირდაპირი მითითება განათლების სამინისტროსგან.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, დააზუსტა იყო თუ არა საუბარი ამავე უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს საბჭოს წევრის მიერ ნათქვამი, რომ საუბარი იყო მათივე სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:15 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:48 საათი

√ ავტორიზაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტი, ნაცვლად „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიაში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 2
წინააღმდეგი: 1

ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1. მისიის განაცხადი იყოს გააზრებული და გასაგები უსდ-ს წარმომადგენლებისთვის, დაინტერესებული პირებისთვის, სტუდენტებისთვის. მისიის განაცხადი (დაპირებები) აისახოს უსდ-ს სტრატეგიულ და ყოველდღიურ გადაწყვეტილებებში;
2. შეიქმნას მომავალი წლების (2022-2024 წლების) სამოქმედო გეგმა;
3. რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმაში საჭირო რესურსები დეტალურად იყოს გაწერილი, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური და მატერიალური;
4. შესრულდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმაში მითითებული ინდიკატორები იყოს გაზომვადი;
5. რეკომენდირებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იყოს გაზომვადი;
6. რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტრატეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება და უნიკალური კომპეტენციები კონკურენტებთან მიმართებაში, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას;
7. დაინერგოს უსდ-ს მიერ შემუშავებული დებულება და თითოეულმა ორგანიზაციულმა ერთეულმა დაიწყოს დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულება;
8. მოხდეს დროის ეფექტურად გადანაწილება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე;
9. მკაფიოდ განისაზღვროს და გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი, უმაღლესი სასწავლებლის მიერ დასახული მიზნის - ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის წარმატებით განსახორციელებლად;
10. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ სიღრმისეულად გააანალიზოს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევების შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები და შესაბამისი დასკვნები გამოიყენოს ხარისხის უწყვეტი და მდგრადი განვითარებისთვის;
11. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები;
12. დაწესებულებამ შეიმუშავოს შრომის ბაზრის კვლევის სტანდარტი და უზრუნველყოს კვლევის მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობა, რეკომენდირებულია შრომის ბაზრის კვლევის დროს შერჩევის დასაბუთება და გამოკითხვის ინსტრუმენტის ისე შედგენა, რომ მიღებული ინფორმაცია იძლეოდეს ანალიზის საშუალებას;

13. სასურველია, დაწესებულება მიჰყვეს ხარისხის მართვის სამსახურის დებულებას და ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის, ხოლო თუ ამგვარი პრაქტიკა არ არის მისაღები, განახლდეს ხარისხის მართვის სამსახურის დებულება;
14. რეკომენდირებულია, შემუშავდეს საუნივერსიტეტო აკადემიური სტილი, რომელიც შესაბამისობაში იქნება რომელიმე საერთაშორისო ნორმასთან. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ცოდნის ამაღლება შემუშავებულ სტანდარტებთან მიმართებაში;
15. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს კეთილსინდისიერების პრინციპების ფართო იმპლემენტაცია და გამორიცხოს საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობები;
16. რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს პერიოდულობით, წინასწარი განსაზღვრული სიხშირით, რათა პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზეც შესაძლებელი იყოს მათი მოსაზრებების გათვალისწინება;
17. რეკომენდირებულია პროგრამის მონიტორინგი განახორციელოს გარე შემფასებელმა, ვიდრე მოხდება პროგრამის აკრედიტაცია, ასევე, პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს მისი შეფასება გარე ექსპერტის მიერ;
18. რეკომენდირებულია, ინსტიტუციამ აქტიურად იზრუნოს სწავლების თანამედროვე მეთოდების პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით, რათა სტუდენტების ჩართულობა სალექციო პროცესში და მათი კმაყოფილება გაიზარდოს;
19. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა ფოკუსი გააკეთოს რომელიმე ერთ მიმართულებაზე (ფინანსები, მარკეტინგი, აუდიტი) და პროგრამა გააძლიეროს ამ მიმართულებით;
20. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში შეფასების განხორციელების დროს გამოიყენებოდეს ისეთი ინსტრუმენტები, რომელიც მინიმუმადე დაიყვანს არაკეთილსინდისიერი ქცევის შესაძლებლობას;
21. რეკომენდირებულია, ინსტიტუცია დარწმუნდეს რომ გამოცდის პასუხები წინასწარ არ არის ცნობილი სტუდენტებისთვის და არ დაუშვას მსგავსი შემთხვევები, რადგან ეს შეიძლება გახდეს არაგეგმიური მონიტორინგის მიზეზი;
22. რეკომენდირებულია ინსტიტუციამ შეიმუშაოს აკადემიური მხარდაჭერის სერვისები სტუდენტებისთვის, რომელიც დაეხმარებათ სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში;
23. პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა იყოს მკაფიო; ამისთვის განხორციელებული მექანიზმები იყოს ქმედითი;
24. დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდეს პერსონალის წახალისების, კვლევის დაფინანსებისა და სხვა ბონუსური სისტემის რეალური გეგმის შედგენა;
25. მომზადდეს პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
26. დაიხვეწოს პერსონალის შეფასების სისტემის აღწერა, დოკუმენტში კარგად ჩანდეს აკადემიური პერსონალის შეფასების წესი და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი, არ იყოს შეუსაბამობა პერსონალის მართვის პოლიტიკასა და პერსონალის შეფასების სისტემას შორის;
27. დაინერგოს შეფასების სისტემა და დაიწყოს პერსონალის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების მიზნებისთვის;
28. კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია იყოს დასაბუთებული, იყოს გათვალისწინებული პროგრამის სპეციფიკა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
29. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მკაფიო წესი და ამასთან, უზრუნველყოს რეალისტური შედარება პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით;
30. რეკომენდირებულია, ნებისმიერი ფინანსური ხარჯი, რომელის სასწავლო პროცესს ან დიპლომის მიღებას უკავშირდება, თავიდანვე მკაფიოდ აისახოს ხელშეკრულებაში და მკაფიოდ წარედგინოს სტუდენტებს;

31. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს თანმიმდევრული და ქმედითი მექანიზმი სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;
32. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ ფორმალიზებული და სტრუქტურირებული ხასიათი მისცეს სტუდენტთა კონსულტირებას და ამასთან, მკაფიოდ გამიჯნოს სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები ამ ნაწილში;
33. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის პრაქტიკა - დაწესებულებამ რეგულარულად დაგზავნოს რელევანტური ვაკანსიები სტუდენტებთან, ადეკვატური პერიოდულობით ჩაატაროს კარიერული განვითარების ღონისძიებები, გამოიკვლიოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საჭიროებები კარიერული განვითარების მიმართულებით და შესაბამისად დაგეგმოს მომავალი აქტივობები;
34. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ხედვა ჩამოაყალიბოს მკაფიოდ და რეალისტური და მიღწევადი სამიზნე ნიშნულები ასახოს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში;
35. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს და ადეკვატურ ნიშნულამდე გაზარდოს სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების ბიუჯეტი, შეიმუშავოს და სტუდენტებს გააცნოს დაფინანსების მოპოვების მექანიზმები;
36. განხორციელდეს გამოყენებითი კვლევითი აქტივობები დაწესებულების ტიპისა და პროფილის გათვალისწინებით;
37. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალი კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის ფინანსური რესურსით;
38. პრაქტიკაში განხორციელეს აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობის პროდუქტიულობის შეფასება;
39. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო აუდიტორიაში არსებობდეს გაგრილების სისტემა, რადგან მდებარეობის გამო, ზაფხულის პირობებში შეიძლება სალექციო პროცესს შეექმნას პრობლემა. ასევე, ჰაერის ფილტრაციის/ვენტილაციის სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის მძიმე სუნი/ჰაერის ფილტრაციას, რომელიც შენობის სველ წერტილებში არსებობს;
40. რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამების დამატების და სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის კვალობაზე მოხდეს კომპიუტერული ტექნიკის განახლება (მათ შორის პროექტორები);
41. რეკომენდირებულია ავარიული გასასვლელის ისე მოწყობა, რომ გადიოდეს პირდაპირ ღია სივრცეში;
42. რეკომენდირებულია წიგნადი ფონდის სრული კატალოგიზაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;
43. რეკომენდირებულია, ყველა სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში;
44. რეკომენდირებულია სამეცნიერო ბაზებზე დისტანციური წვდომის განხორციელება და შესაბამისი ტრენინგების მიწოდება სტუდენტებისთვის;
45. რეკომენდირებულია, აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა, სასწავლო პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენების გაძლიერების მიზნით;
46. რეკომენდირებულია, საგამოცდო პროცესის წარმართვისას უსდ-მ გამოიყენოს ისეთი სისტემები, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას და მინიმუმამდე შეამცირებს გადაცდომის რისკებს;
47. რეკომენდირებულია, ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების გამოყენება;
48. რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიული ამოცანებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების იდენტიფიცირებასა და შესაბამის ანალიზს. ამასთან, აუცილებელია სტრატეგიული გეგმაში აღწერილი ის ამოცანები, რომლებიც წესით შემოსავლების ზრდას გამოიწვევს, ასახული იყოს პროგნოზირების გეგმაშიც;

49. რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს ფინანსური შემოსავლების დივერსიფიცირების რეალისტური გეგმა;
50. რეკომენდირებულია დაწესებულებამ დანერგოს ფინანსური მართვის, შეფასების და კონტროლის ეფექტური, თანამედროვე მექანიზმები. ამასთან, ფინანსური პოლიტიკა ორგანულად იყოს ინტეგრირებული უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
51. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გამოიყენოს ფინანსური მოდელირების ის ინსტრუმენტები, რომელიც მაქსიმალურად მიაახლოებს საპროგნოზო მაჩვენებელს და რეალურ შედეგებს და ამით თავიდან აიცილოს ფინანსური კრიზისის დადგომა. ამასთან, შეიმუშავოს ბიზნეს უწყვეტობის მართვის იმგვარი მექანიზმები, რომელიც ასახავს რეალისტურ რისკებს და შესაბამის შეფასებებს;
52. რეკომენდირებულია, რეალისტურად შეფასდეს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის საჭირო ადეკვატური ფინანსური რესურსის მოცულობა და შესაბამისად იქნას ასახული ბიუჯეტში;
53. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგებებისა და კვალიფიციური აუდიტის მიერ მომზადებული დასკვნების საჯაროობა;
54. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს ფინანსური და მატერიალური სამსახურის საშტატო განრიგს და სამუშაო დატვირთვის და ფუნქციების შესაბამისად, გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა, ეფექტიანობისა და კონტროლის ადეკვატური ხარისხის მისაღწევად;

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, 21-ე პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიას დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა, განაცხადა, რომ ცენტრში შესული წერილის საფუძველზე სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას დაენიშნა არაგეგმიური მონიტორინგი, სწორედ ამ მონიტორინგის შედეგების შეფასებას წარმოადგენდნენ საბჭოს წინაშე. მისი განმარტებით სრულფასოვნად შედგა უნივერსიტეტთან კომუნიკაცია, მიიღეს ყველა გამოთხოვილი მასალა და ჰქონდათ ძალიან კოლეგიალური დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეეფასებინა მეორე და მეოთხე სტანდარტები, სხვა სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხებიც შეაფასეს, რაც აღწერილი იყო ნარატივის ნაწილში.

მეორე სტანდარტის შესახებ, მან აღნიშნა, რომ გაცემული იყო სამი რეკომენდაცია, რომელთაგან ერთი მათგანი შენარჩუნებულია წინა მონიტორინგის დროს მიღებული რეკომენდაციებიდან. პირველი რეკომენდაციის (თანამდებობრივ ინსტრუქციებთან დაკავშირებით, მეტი კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს პერსონალთან) შესახებ განმარტა, რომ აქ საკვანძო სიტყვა იყო „მეტი“, რადგან კომუნიკაცია ნამდვილად იყო თანამდებობრივ ინსტრუქციებთან დაკავშირებით, აკადემიას შემუშავებული ჰქონდა ძალიან კარგი სისტემა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ელექტრონულად აწვდიდა ინსტრუქციებსა და ინფორმაციას პერსონალს, ასევე, პერსონალი ელექტრონულად ეცნობოდა და აბრუნებდა უკუკავშირს საჭიროების შემთხვევაში.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა (მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ 2020 წელს მიღებული ყველა გადაწყვეტილების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობების დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად), განმარტა, რომ აღნიშნული გახლდათ წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ ეთიკის კომისიის 2020 წლის გადაწყვეტილებები უნდა გადაიხედოს. ამ საკითხთან დაკავშირებით მასალები არ არის წარმოდგენილი და არც ინტერვიუების შედეგად დასტურდება. კერძოდ, კი საკითხი ეხებოდა პერსონალის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს.

მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით (აკადემიური თავისუფლების პრინციპების დასაცავად უნივერსიტეტში, საჩივრებზე რეაგირებს, ისევე როგორც პერსონალის ახსნა-განმარტება იყოს ნათელი), მან განაცხადა, რომ აკადემიური თავისუფლების პრინციპები მექანიზმის სახით გაწერილი იყო, თუმცა მისი განხორციელების კუთხით გარკვეული კითხვები ჩნდებოდა. რადგან წერილის საფუძველზე, რომლის გამოც აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა, იკვეთებოდა იმის ნიშნები, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ამ მექანიზმის სწორად განხორციელების პრობლემას. კერძოდ, ეს უკავშირდებოდა საკონკურსო პირობების და საუნივერსიტეტო საშტატო განრიგის პირობების უკეთესად აღქმის საკითხს

დაინტერესებული პირებისათვის, ასევე, საჩივარზე რეაგირება და პერსონალის ახსნა-განმარტება უნდა ყოფილიყო ნათელი.

ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ, მეოთხე სტანდარტის შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც დამტკიცებული იყო 2020 წელს, ვიზიტის დროს პერსონალი ამ კუთხით იყო აკადემიურ თანამდებობაზე აყვანილი და ვადა გასდიოდა 2022 წლის 5 თებერვალს, ინსტიტუციაში პერსონალის მართვის გარდა არსებობდა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებდა წესებს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლებშიც მოცემული იყო კონკურსის გამოცხადების ვადები, საბუთების მიღება და ა.შ., ვადების გადახედვის შემდეგ გადაითვალეს და დაწესებულებას სჭირდებოდა თვენახევარი რათა გამოეცხადებინა კონკურსი, გაეკეთებინა საბუთების მიღება, ჩაეტარებინა კონკურსი და გამოეცხადებინა შედეგები, 5 თებერვალს აკადემიური პერსონალის ძირითად ნაწილს ეწურებოდა ვადა და არ იყო გამოცხადებული კონკურსი, თუმცა ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ მიმდინარეობდა კონკურსისთვის მზადება და შესაბამისი ინფორმაცია ცნობილი იყო ყველასათვის, შესაძლებელი იყო დასჭირვებოდათ პერსონალის ძირითადი ნაწილისათვის ვადის გახანგრძლივება, ამასთანავე დაწესებულებას ჰქონდა წესდება, რომლის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით კონკურსში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, მაგ., „დ) თუ კანდიდატს უკვე უკავია საზღვაო აკადემიაში აკადემიური პოზიცია“, ამ პირობიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კითხვა, თუ კი საკონკურსო პირობა ექნებოდა გათვალისწინებული, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესორს დაკავებული ექნებოდა აკადემიური პოზიცია, რატომ არ უნდა ჰქონდეს პირს უფლება შეიტანოს საბუთები და უფრო მაღალ პოზიციაზე გადავიდეს, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, როდესაც დაწესებულებაში ცხადდება კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, პროფესორი ფიქრობს ხომ არ გააგრძელოს თავისი საქმიანობა, ან იქნება მეტჯერ არ გამოცხადდეს მისი შტატის შესაბამისი ვაკანსია, შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას სცოდნოდა თუ რამდენი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი სჭირდება რაც ასევე, ცნობილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი აკადემიური პერსონალისათვისაც, აკადემიას მოუწევდა კარგად გაეთვალა კონკურსის ვადები, ერთმანეთისთვის დაემთხვია ერთიდაიმავე მიმართულების ასოცირებული პროფესორების კონკურსი და ამ კუთხით გარკვეული საკითხები გამოეჩინა საკონკურსო დოკუმენტაციაში, სწორედ ამ მიმართებებით იყო გაცემული რეკომენდაციები: აკადემიამ უნდა გააუმჯობესოს მიდგომები, რომელიც დეკლარირებულია დოკუმენტით "აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ", წარმოდგენილი საკითხი ასევე არის 2018 წლის საავტორიზაციო შეფასების რეკომენდაცია - განსაზღვრეთ უფრო კონკრეტული და ზუსტი სამიზნე ნიშნულები აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობის გამოსათვლელად. „მიზანშეწონილია აკადემიამ გადახედოს „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესში“ დადგენილ პირობას კანდიდატის საზღვაო აკადემიაში აკადემიური პოზიციის დაკავებაზე და ჩამოაყალიბოს უფრო მეტი კონკრეტიკით. კერძოდ, მუხლი 7, #8 - რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. შესაბამისად, დაინტერესებული პირებისათვის გატარდეს ღონისძიებები საკონკურსო პირობებისა და საუნივერსიტეტო საშტატო განრიგის პირობების უკეთესად აღქმის მიზნით“.

რეკომენდაციასთან მიმართებით რომელიც ეხებოდა: (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და მათი ანალიზების გაზიარების შედეგად იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ დაიგეგმოს ღონისძიებები პერსონალის მართვაში დეკლარირებული მიდგომების ეფექტურად გამოყენებისათვის - შიდა კომუნიკაცია და კორპორაციული ეთიკა) რეკომენდაცია გაცემულია, რადგან მის განხორციელებაში ჩართულიყო იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტები. დაწესებულებიდან მიიღეს არგუმენტირებული პოზიცია, სადაც

დაწესებულება აცხადებდა მზაობას რეკომენდაციების შესასრულებლად და ბევრი მათგანი ჰქონდათ კიდეც შესრულებული, - მისი თქმით დაწესებულებას ჰქონდა მზაობა რეკომენდაციების შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, მურთაზ დევიძემ, განაცხადა, რომ რეკომენდაციები მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ყურშუბაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გაცემისათვის, მან პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავების პროცესში ჩართული იყო შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები/ხელმძღვანელები. პირველ ეტაპზე, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირების პასუხისმგებლობების განსაზღვრა ხდება შესაბამის დებულებაში. დებულების პროექტი თანხმდება/მზადდება სტრუქტურულ ერთეულთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და დასამტკიცებლად წარედგინებოდა სენატს. სენატის მიერ დამტკიცებული დებულება, ან/და ნებისმიერი პროცედურა ხარისხის სამსახურის მიერ იგზავნებოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ყველა თანამშრომელთან. ასევე, ხორციელდებოდა განახლებული დოკუმენტის განთავსება აკადემიის შიდა საქმისწარმოების პორტალზე. მეორე ეტაპზე, დამტკიცებული დებულების საფუძველზე, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის ატვირთვა ხორციელდება სპეციალურ პორტალზე, რომლის მეშვეობითაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს თანამდებობრივ ინსტრუქციას და განახორციელოს გაცნობის დასტური. თანამშრომელს, აღნიშნული პორტალის მეშვეობით ეძლევა უკუგების შესაძლებლობა.

2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ 2020 წელს მიღებული ყველა გადაწყვეტილების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობების დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად) შესახებ, განაცხადა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 2020 წელს განხორციელდა ერთი დისციპლინარული წარმოება. კომისიის გადაწყვეტილების (რეკომენდაციის საფუძველზე) აკადემიის თანამშრომელი ვ.ა. განთავისუფლდა დაკავებული ადმინისტრაციული და აკადემიური პოზიციებიდან. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „შინაგანაწესის“ 26-ე მუხლის შესაბამისად: „აკადემიის პერსონალს, რომელსაც შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, უფლებამოსილია აკადემიის რექტორის ბრძანება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი“. ანალოგიური დათქმა იყო გაკეთებული „დებულებაში დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-5 მუხლში, კერძოდ:
„მუხლი 5. გასაჩივრება
1. დისციპლინური სახდელი შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითა და შინაგანაწესის 26-ე მუხლით განსაზღვრული წესით ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შესაბამის განსჯად სასამართლოში.“

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიაში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების გადახედვაზე სამართლებრივად უფლებამოსილია საქართველოს სასამრთლო ან/და ზემდგომი (სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო) ორგანო.
მან განმარტა რომ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, რომელმაც საჩივარი არ მიიღო წარმოებაში, რადგან დავა ეხებოდა შრომით ურთიერთობებს (დანართი 1 - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის წერილი). მსგავსი სახის დავებს განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. სასამრთლო წარმოება მიმდინარეობდა და დავა გადასული იყო სააპელაციო სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიულ ძალაში შესვლისთანავე ეცნობებოდა სსიპ - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
4.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, აკადემიას ზუსტად უნდა განესაზღვრა აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობა საგნობრივი მიმართულებების/ბლოკების მიხედვით, რისთვისაც უნდა გამოეყენებინა დასაბუთებული მეთოდოლოგია და მიღებული პრაქტიკა, აღნიშნული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. აკადემიას უნდა გადაეხედა და შეესწორებინა წესი „აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“ და განესაზღვრა უფრო კონკრეტული და ზუსტი სამიზნე ნიშნულები აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობის გამოსათვლელად, სხვადასხვა ტიპის თანაფარდობაზე დამყარებით, მან განაცხადა, რომ „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესის“ მე-2 მუხლი ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს აძლევდა ზოგად ინსტრუქციას, თუ რა მეთოდოლოგიისა და ნიშნულების გამოყენებით უნდა გაანგარიშებულიყო საჭირო აკადემიური პერსონალის ოდენობა. აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის ოდენობის გაანგარიშება და წარდგენა ხორციელდებოდა არა ადმინისტრაციული პერსონალის მიერ, არამედ მას შეიმუშავებდა და წარადგენდა ფაკულტეტის საბჭო. შესაბამისად, აუცილებელი წინაპირობა იყო ყველა დაინტერესებული პირი ყოფილიყო უშუალოდ ჩართული პერსონალის ოდენობის განსაზღვრის პროცესში, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ფაკულტეტის საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ფორმირდება შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ყველა აკადემიური პირისა და ფაკულტეტის სტუდენტებისგან. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავდა, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვალიფიკაციის განმსაზღვრელ დარგში კომპეტენციის მქონე არანაკლებ 1 პროფესორით და 2 ასოცირებული პროფესორით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელი იყო უმაღლესი აკადემიური პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო საფეხურებზე) შემუშავება და განხორციელება. ერთი აკადემიური პერსონალი შესაძლებელი იყო მომსახურებოდა ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას. აკადემიური პერსონალისთვის თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი) განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, სტრუქტურა, თავისებურებები, კვლევებისა და სასწავლო კომპონენტის სპეციფიკა (თეორიული, პრაქტიკული, ლაბორატორიული, კვლევითი და სხვ.) და მოცულობა. აღნიშნული მეთოდოლოგია, ასევე განსაზღვრავდა აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობას (1:1). მეთოდოლოგიის მე-6 მუხლი განსაზღვრავს სამიზნე ნიშნულებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისმა ფაკულტეტმა. ზემოაღნიშნული გარემოების მიუხედავად, საზღვაო აკადემიამ აიღო ვალდებულება შეექმნა სამუშაო ჯგუფი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე გარე ექსპერტების მონაწილეობით და მოეხდინა ორი წესის: „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი“ და „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი“ გადახედვა, დამუშავება.

რეკომენდაციის (მიზანშეწონილია აკადემიამ გადახედოს „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესში“ დადგენილ პირობას კანდიდატის საზღვაო აკადემიაში აკადემიური პოზიციის დაკავებაზე და ჩამოაყალიბოს უფრო მეტი კონკრეტიკით. კერძოდ, მუხლი 7, #8 - რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. შესაბამისად, დაინტერესებული პირებისათვის გატარდეს ღონისძიებები საკონკურსო პირობებისა და საუნივერსიტეტო საშტატო განრიგის პირობების უკეთესად აღქმის მიზნით) შესახებ მან განაცხადა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 პუნქტის შესაბამისად:

„7. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნეს ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე. “

აღნიშნული შეზღუდვა მკაფიოდ განუსაზღვრავდა კანდიდატებს, რომ მათ კონკურსის მიმდინარეობისას შეეძლოთ განაცხადი წარედგინათ მხოლოდ ერთ პოზიციაზე.

იმავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად:

„8. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებია:

ა) საკონკურსო განაცხადის წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობების დარღვევით შეტანა;

ბ) თუ საკონკურსო განაცხადის თანდართული დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში დადგენილი ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული დადგენილ ვადაში;

გ) თუ პირს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მსვლელობის პროცესში ან კონკურსის გამოცხადების წელს უსრულდება 65 წელი;

დ) თუ კანდიდატს უკვე უკავია საზღვაო აკადემიაში აკადემიური პოზიცია.“

წარმოდგენილი პუნქტის თითოეული პუნქტი მკაფიოდ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში ეთქმება უარი კანდიდატს განაცხადის რეგისტრაციაზე. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი წესის დარღვევით ან/და არასრულად წარადგენდნენ დოკუმენტაციას, მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა ვადის განსაზღვრით მოეხდინათ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა, კერძოდ, აღნიშული მუხლის მე-9-მე-11 პუნქტების შესაბამისად:

„9. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, საპროცედურო კომისია ვალდებულია მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეასწოროს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. აკადემიის საპროცედურო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

11. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას დაწესებულების საპროცედურო კომისია იღებს 3 სამუშაო დღის ვადაში.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) თუ კანდიდატს უკვე უკავია საზღვაო აკადემიაში აკადემიური პოზიცია.“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებდა აკადემიური პერსონალის შერჩევის ზოგად პრინციპებს, ხოლო რაც შეეხებოდა აკადემიური პერსონალის შერჩევის წესს, კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად რეგულირდებოდა დაწესებულების წესდებით. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების შესაბამისად განსაზღვრული იყო, რომ სენატი (წარმომადგენლობითი ორგანო) ადგენდა კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს. აკადემიური პერსონალი შეირჩევა კონკრეტული ვადით, რომლის შემდეგაც ცხადდება ახალი აკადემიური კონკურსი. დადგენილი მეთოდოლოგიის ფარგლებში, შესაბამისი ფაკულტეტები, საკონკურსო ადგილების რაოდენობას განსაზღვრავდნენ არსებული აკადემიური პერსონალის, სტუდენტების ოდენობისა და სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიურ პერსონალს არ ეწურებოდა მიმდინარე კონკურსის მსვლელობისას დაკავებული აკადემიური თანამდებობის ვადა, მას უფლება ჰქონდა გაეკეთებინა განაცხადი მიმდინარე კონკურსზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განაცხადის გაკეთების დროს დატოვებდა დაკავებულ აკადემიურ თანამდებობას. აღნიშნული ჩანაწერის მიზანშეწონილობა განხილულ იქნა როგორც ძირითადი

საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოებზე, ისე წარმომადგენლობითი ორგანოს - სენატის სხდომაზე. აკადემიური პერსონალის არც ერთ წარმომადგენელს არ დაუფიქსირებია განხილვების პროცესში საწინააღმდეგო პოზიცია, შესაბამისად პროექტი მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა. მსგავსი ჩანაწერის არარსებობა შეაფერხებდა, როგორც სასწავლო პროცესს, ისე ხელს შეუწყობდა არაჯანსაღი კონკურენციის შექმნას. კერძოდ, უკვე მოქმედ აკადემიურ პერსონალს მიეცემოდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ახალი საკონკურსო ვადით შერჩევის პროცესში, ისე რომ მას არ დაეკარგა უკვე არსებული თანამდებობა. შესაბამისად, დაწესებულებას უწევდა დამატებითი კონკურსის გამოცხადება, რომლის ვადებიც დადგენილი იყო კანონმდებლობით და ქმნიდა ალბათობას, რომ მიმდინარე სემესტრში დაწესებულებას ეყოლებოდა არასაკმარისი ოდენობის აკადემიური პერსონალი, რაც ზეგავლენას მოახდენდა პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რეკომენდაციის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა პროექტი, რომელიც მოახდენს აღნიშნული პუნქტის უფრო მეტ კონკრეტიკას, და წესში „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით, წარმოდგენილი ცვლილება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ახალი კონკურსის გამოცხადების დროს:
„დ) თუ კანდიდატს უკვე უკავია საზღვაო აკადემიაში აკადემიური პოზიცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატს საკონკურსო ვადა ეწურება მიმდინარე კონკურსის მსვლელობისას. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს კონკურსის მსვლელობისას არ ეწურება საკონკურსო ვადა, იგი უფლებამოსილია გააკეთოს განაცხადი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დატოვებს დაკავებულ აკადემიურ თანამდებობას.“

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, რუსუდან ყიფიანმა განაცხადა, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია დაწესებულებამ გადახედოს დისციპლინურ საქმის წარმოებას, რადგან ეს არის შრომითი დავა, რომლის შესახებაც უკვე დაწყებულია სასამართლო დავა. წყვეტის შესახებ განაცხადა, რომ მოხდებოდა მათთვის ხელშეკრულებების გაგრძელება და ეს ასეც მოხდა, არცერთი აკადემიური პერსონალის ინტერესი ამ კუთხით არ დაზიანებულა და მათ ხელშეკრულებები გაუგრძელდათ კონკურსის დასრულებამდე, დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას ვადებთან დაკავშირებით, იმისთვის, რომ მხოლოდ შიდა გამოცდილებას არ დაყრდნობოდნენ, მოიწვიეს ექსპერტი, რომელიც ახორციელებდა არსებული პროცედურების შესწავლას და ამის საფუძველზე გეგმავდნენ განეხორციელებინათ ცვლილება, როგორც პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში, ისე აკადემიურის პერსონალის კონკურსის გამოცხადების წესშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, გია ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ ნებისმიერი აკრძალვა მოქმედი აკადემიური პირისთვის, არ იყო სწორი და ის არგუმენტი, რომ დაწესებულებას კიდევ დასჭირდებოდა კონკურსის გამოცხადება, არ იყო მართებული, დაწესებულებას სულ 13 პროფესორი ჰყავდა, 40-ზე მეტი ასოცირებული და ასისტენტი ძალიან ცოტა რაოდენობის. თუ პროფესორი გავა პენსიაზე ან ფიზიკურად ვერ შეძლებდა საქმიანობის განხორციელებას, დაწესებულება გამოაცხადებდა კონკურს, სადაც მონაწილეობის მიღება მოინდომა ორმა ასოცირებულმა პროფესორმა, საბჭოს წევრი დაინტერესდა კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში ორივე კანდიდატმა უნდა მიატოვოს თუ არა თანამდებობა, რადგან საბოლოოდ ერთი აირჩევა თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე ისევ კონკურსი იქნებოდა გამოსაცხადებელი ასისტენტმა რომ შეძლოს მონაწილეობა მიიღოს პროფესორის კონკურსში და ა.შ. მან დამატებით აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით აღნიშნული იყო ბუნებრივი პროცესი და აკადემიურ პერსონალს უნდა მისცემოდა თავისუფლება დაწინაურებისთვის.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, რუსუდან ყიფიანმა, განაცხადა, რომ წარმოების პერიოდშიც ჰქონდათ მსგავსი გამოცდილება, ჰყავდათ პერსონალი, რომელსაც სურდა დაწინაურება, საუბარი არ იყო პერსონალზე, რომელსაც კონკურსის მსვლელობის დროს გასდიოდათ ვადა, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა აღნიშნული განაცხადი გაეკეთებინათ უფრო მაღალ პოზიციაზე. მაგ., ერთ ადამიანს სურდა პოზიციის ამაღლება, მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა არსებული თანამდებობა და ამისს შემდეგ მიიღო მონაწილეობა კონკურსში, აღნიშნული განცხადებები დაიწერა იმ თარიღიდან, რომელშიც კონკურსის მიმდინარეობდა, კონკურსი იყო ივნისში, პერსონალს კი ვადა გასდიოდა სექტემბერში, მათი განცხადება გათავისუფლების შესახებ ძალაში შედიოდა სექტემბრიდან, შესაბამისად არ ექნებოდათ წყვეტა თუ ახალ პოზიციაზე იქნებოდნენ არჩეულები, რადგან მათი ინტერესი ყოფილიყო დაცული.

საჩივრის ავტორმა, ანა თენიეშვილმა, განაცხადა, რომ მის მიერ საჩივარი წარდგენილი იქნა ზაფხულში, მას შემდეგ კიდევ ბევრმა ფაქტორმა მოახდინა გავლენა, მისი მოსაზრებით, დაწესებულებამ ზუსტად იცოდა რამდენი უნდა აერჩია და რამდენი არა აკადემიურ პოზიციაზე, 2021 წლიდან დაწესებულებაში იყო ჰიბრიდული სწავლება, მან აღნიშნა, რომ მისი უფლებამოსილების ვადა გადიოდა თებერვალში და ერთი წლით ადრე არაერთმა თანამშრომელმა, მათ შორის ადმინისტრაციულმა პერსონალმაც უთხრეს, რომ პროფესორი პოზიციაზე არ იქნებოდა არჩეული, შესაბამისად მისი მოსაზრებით, ყველა მიღწევის მიუხედავად, ერთი წლით ადრე ცნობილი იყო რიგითი პერსონალისთვის იქნებოდა თუ არა პროფესორის პოზიციაზე. საბჭოს წევრის კითხვაზე მან უპასუხა, რომ ორივე პროფესორი არ დატოვებს თანამდებობას, რადგან მათ დიდი ხნით ადრე იციან ვინ დაიკავებს კონკურსით გამოცხადებულ პოზიციაზე თანამდებობას.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, მიმართა საჩივრის ავტორს და სთხოვა განემარტა, ჩატარდა თუ არა კონკურსი ღია წესით, თუ საუბარი იყო მხოლოდ რაოდენობაზე.

საჩივრის ავტორმა, ანა თენიეშვილმა, განმარტა, რომ თუ ერთ პროფესორის მიღებაზე გამოცხადდა კონკურსი და ორ ასოცირებულს აქვს სურვილი კონკურსში მონაწილეობის, მისი მოსაზრებით, წინასწარ ცნობილი იყო თანამშრომლებისთვის თუ ვინ დაინიშნებოდა აღნიშნულ პოზიციაზე.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ იგი კარგად იცნობდა დაწესებულების საქმიანობას და მისი მოსაზრებით ძალიან კარგ საქმეს აკეთებდნენ, მან აღნიშნა, რომ იგი ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტთან ერთად ყველა პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, აკადემიური პერსონალი, პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასევე საუბარი იყო რეგულირებად დარგებზე, რაც გულისხმობდა, რომ პროფესორები გადიოდნენ სერტიფიცირებას ზემდგომი ორგანოდან. ასეთ დარგებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ზუსტად პროგრამების განმახორციელებლ პერსონალსა და ხელმღვანელობას გადაეწყვიტა თუ რამდენ აკადემიურ პერსონალს რა პერიოდში აიყვანდა და როდის გამოაცხადებდა კონკურსს, აღნიშნული კუთხით დაწესებულებას სრული დისკრეცია ჰქონდა. ასევე, დასძინა, რომ დაწესებულება ყოველთვის იღებდა რეკომენდაციებს. დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინათ ეთანხმებოდნენ თუ არა აღნიშნული მონიტორინგის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებს.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, რუსუდან ყიფიანმა, დაადასტურა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ რეკომენდაციებს. საჩივრის ავტორთან მიმართებით კი განაცხადა, რომ, როდესაც საუბარი იყო დაწინაურებაზე მას ეკავა ასოცირებული პროფესორის თანამდებობა და კონკურსი

გამოცხადებული იყო იმავე პოზიციაზე, როდესაც მომჩივანს გასდიოდა ვადა, მიეცა შესაძლებლობა, რომ მიეღო მონაწილეობა კონკურსში და მას არ შეზღუდვია კონკურსში მონაწილეობის უფლება, პირველი კონკურსის შემთხვევაში დაწინაურებასთან დაკავშირებულ შეზღუდვაზე არ იყო საუბარი, არამედ საუბარი იყო იმ თანამდებობის მიღებაზე, რომელიც მას უკვე ეკავა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:47 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:58 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 3
წინააღმდეგი: 0

√ ავტორიზაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადაწყვიტეს რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული 6 რეკომენდაციიდან ამოიღეს მეორე და მესამე რეკომენდაცია და დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრეს პირველი, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე რეკომენდაციები.

ავტორიზაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1. თანამდებობრივ ინსტრუქციებთან დაკავშირებით, მეტი კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს პერსონალთან;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და მათი ანალიზების გაზიარების შედეგად იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ დაიგეგმოს ღონისძიებები პერსონალის მართვაში დეკლარირებული მიდგომების ეფექტურად გამოყენებისათვის - შიდა კომუნიკაცია და და კორპორაციული ეთიკა;
3. სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, აკადემიამ ზუსტად უნდა განსაზღვროს აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობა საგნობრივი მიმართულებების/ბლოკების მიხედვით, რისთვისაც უნდა გამოიყენოს დასაბუთებული მეთოდოლოგია და მიღებული პრაქტიკა და აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. ჩაატარეთ სამუშაოები ავტორიზაციის პროცესში მიღებული შემდეგი რეკომენდაციის შესრულებისათვის: აკადემიამ უნდა გადახედოს და შეასწოროს წესი "აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ" და განსაზღვროს უფრო კონკრეტული და ზუსტი სამიზნე ნიშნულები აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობის გამოსათვლელად, სხვადასხვა ტიპის თანაფარდობაზე დამყარებით;
4. მიზანშეწონილია აკადემიამ გადახედოს „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესში“ დადგენილ პირობას კანდიდატის საზღვაო აკადემიაში აკადემიური პოზიციის დაკავებაზე და ჩამოაყალიბოს უფრო მეტი კონკრეტიკით. კერძოდ, მუხლი 7, #8 - რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. შესაბამისად, დაინტერესებული პირებისათვის გატარდეს ღონისძიებები საკონკურსო პირობებისა და საუნივერსიტეტო საშტატო განრიგის პირობების უკეთესად აღქმის მიზნით;

გადაწყვეტილება:

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (ს/კ: 245427337) მიერ ავტორიაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 7 აპრილის 19:00 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა